აგვისტო
1934 წ.
№ 104

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
AOUT
1934—№ 104

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

ა გ ვ ი ს ტ ო

(1924—1934)

აჯანყების ათი წლის თავი

რაც უფრო ვშორდებით დროთა მანძილით აგვისტო-სექტემბრის ამბებს, მით უფრო საეპოქო თარიღად გვეხატება ისინი ქართველ ერის მატიანეში. ჩვენ ამ ამბებს ისტორიულსაც ვეძახით, არა იმ აზრით, რა თქმა უნდა, თითქო ისინი ისტორიას ეკუთვნოდენ, არამედ თავის მნიშვნელობით, სიდიადით, რომელიც მათ უკავიათ ერის გმირულ ბრძოლაში დამოუკიდებელ არსებობისათვის. ბრძოლა არ შეწყვეტილა, გრძელდება, იღებს სხვადასხვა სახეს ცვალებად პირობების მიხედვით, ხოლო ჯანყის სული, შეურიგებლობა უცხოეთის უღელთან, მისი გადაგდების წყურვილი იგივე და უცვლელი რჩება.

1924 წლის აჯანყება, მაშასადამე, როგორც ერის ყველა ძალთა კონცენტრიულ დაკვრის ცდა, არის ბრძოლის ერთი ფორმა და იმავე დროს უაღრესათ თანამედროვე, რამდენათ ის შესაძლოა ხელსაყრელ პირობებში ისევ განმეორებულ იქნას. ამიტომ დაკვირვებული შესწავლა პირველი ცდისა, სწორი ანალიზი მთელი პროცესისა და სათითაო ეპიზოდებისა, აწონ-დაწონვა დაშვებულ შეცდომათა და ბევრი სხვა ჩვენს უპირველეს მოვალეობას უნდა შეადგენდეს.

ვის შეუძლია, უწინარეს ყოვლისა, გაგვიადვილოს ამ დიდი მოვალეობის ასრულება? რასაკვირველია, იმათ, ვინც მოწმე იყო, განსაკუთრებით, ვინც მონაწილეობას იღებდა 1924 წლის აჯანყებაში. ეს ნომერი პირველი ცდაა ამ ცოცხალ მოწმეთა წაამბობთა, რაც მათ უნახავთ, განუცდიათ, გაუგონიათ ცხელ კვალზედ.

მათ მოგონებებში პირველ ადგილს დაიჭერენ, რა თქმა უნდა, ჩვენი მკვდრების საგმირო საქმენი. გმირები სიცოცხლის შემდეგაც განაგრძობენ ქვეყნის სამსახურს, ეს სპეტაკი ტრადიციაა ქართველი ერის. მებრძოლმა ერმა, მისმა ახალმა თაობამ უნდა იცოდეს ამომწურველი სინამდვილით განვლილი ხანა ბრძოლისა, მის მეთაურთა და ჯარისკაცთა აღტყინებანი, მოქმედებანი, მათ მიერ მიტანილი მსხვერპლი სამშობლოს საკურთხეველზე.

ერთი აუცილებელი გაფრთხილება: ჩვენი გაზეთის ეს ცდა მხოლოდ წვეთია ზღვაში! ჩვენ მოშორებული ვართ აგვისტო-სექტემბრის ამბებს არა მარტო დროთა, არამედ სივრცის მანძილითაც, და ესაა სწორეთ ჩვენი დიდი უბედურება. ქართველ ერის აჯანყებაზე საქართველოს გარეთ წერა დიდი შეუსაბამობაა თავის თავათ, მაგრამ მთელი ჩვენი ცხოვრება სხვას აბა რას წარმოადგენს, თუ არა შეუსაბამოებათა მთელს ჯაჭვს? ერი დრტვინავს მტარვალთა უღლის ქვეშ, ის კანონის გარეშეა გამოცხადებული, მისი ბრძოლა საერთოთ და თვითეული ინდივიდუალური აქტი სისხლიანი რეპრესიებით არის დევნილი. ამ პირობებში ფიქრი იმაზე, რომ ადგილობრივ შეიძლება მასალების დაგროვება და მათი გამოყენება, ზედმეტია. იმ დღეს, როცა ეს შესაძლებელი გახდება, ქართველი ერი ხომ თავისუფალი იქნება და აჯანყებაც მართლა ისტორიის და არა ჩვენი მებრძოლ ორგანოს საქმე იქნებოდა!

ერთი მაინც უნდა ითქვას ჩვენდა სანუგეშოთ: საქართველოს მკითხველი თანდათან მეტ კავშირს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბამს ჩვენს გაზეთთან, მოგვდის ხშირათ მისი წერილები, სადაც ცოცხალი სიტყვით მოთხრობილია ადგილობრივი ვითარება, მტრის ვერაგი საქმიანობა ერის სულის ჩასაკლავათ, ეკონომიური დაბეჩავება, მორალური წამება, ნამდვილი კოლონიალური ყვლეფა. აი ეს უცნობი კორესპონდენტები მოგვაწდვიან, იჭვს გარეშე, ბევრ გაგონილ და ნანახს აჯანყებაზე და მით ხელს შეუწყობენ მის გაკვეთილების ნაყოფიერათ გამოყენებას.

რაა ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი, რაც 1924 წლის აჯანყებამ დაგვიტოვა? ესაა, ჩვენის აზრით, ქართველი ერის მარტოხელა გამოსვლა. აქ, თუ გნებავთ, სტერეოტიპიულათ განმეორდა ის, რაც მოხდა დამოუკიდებლობის დაკარგვის დროს. ორთავე შემთხვევაში ქართველმა ერმა სცადა უღლისგან დახსნა მარტო და ამიტომ წააგო კიდეც. ამით, თავის თავათ ცხადია, ერის გმირობას, მის აღმაფრენას არა თუ არაფერი აკლდება, პირიქით, მან ჩასწერა ახალი საამაყო ფურცლები მის საუკუნოებრივ ბრძოლის ისტორიაში.

ჩვენ დღესაც კარგათ გვახსოვს ის ღრმა შთაბეჭდილება, რომელიც ამ უთანასწორო ბრძოლამ მოახდინა უცხოეთში. აჯანყების და მის სისხლში ამოხრჩობის ჟამს ჟენევაში შეყრილიყვენ 50 სახელმწიფოს დელეგატები, უმთავრესათ, პრემიერები და საგარეო მინისტრები, და საერთაშორისო პრესა აწვდიდა მათ გამუდმებით ცნობებს იმ ტრაღედიაზე, რომელიც დატრიალებულიყო საქართველოში. ჩვენ აქ ზავზე და მის უზრუნველყოფაზე ვლაპარაკობთ, გაიძახოდა ერთი ორატორი—პოლბონკური—, იქ კი სისხლი იღვრის ორ სახელმწიფოს შორის! ერთა ლიგამ მთელი ერთი სხდომა მოანდომა ჩვენს აჯანყებას, ილაპარაკეს ერთ მეორეზე აღგზნებულათ დიდი და პატარა ქვეყნის დელეგატებმა, მომხსენებელმა, კანადის დელეგატმა მაკდონალდმა, ისეთი დასაბუთებული სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს წარსულზე და აწმყოზე, მოსკოვის ვერაგობაზე, რომ მსმენელნი, დარბაისელნი სახელმწიფო მოღვაწენი, თავს ძლივს იკავებდენ გარეგნულ უჩვეულო გამოხმაურებისაგან. მოხდა ისტორიაში თითქმის უპრეცედენტო ამბავი—გაიძახოდა მომხსენებელი—, რუსეთმა იცნო საქართველო, ხელი მოაწერა საერთაშორისო პირობას და მანვე უარყო თავისი ხელმოწერილი, დაესხა თავს ამ რაინდ ერს და დღეს მსოფლიოს მთელი სიმპატია ამის მხარეზეა.

ჩვენ გვეშინია, ეს სიტყვები ირონიად არ მოეჩვენოს მკითხველს! მომავალ თვეს საბჭოთა კავშირი დიდის რიხით აპირებს ერთა ლიგაში შესვლას და ის სახელმწიფოები, რომელთა წარმომადგენელნი ასეთი ღელვით უპასუხებდენ საქართველოს ტრაღედიას, დღეს უკვე მზათ არიან გვერდში დაისვან სიტყვის და პატიოსნების გამტეხნი. კონსტრასტი დასრულებულია, არ ეჭვრება განმარტებანი.

მაგრამ ჩვენთვის უფრო საგულისხმიეროა მეორე კონტრასტი: საბჭოთა რუსეთი 1924 და 1934 წლებში. რამდენათ უფრო განსაცვიფრებლათ, თუ გნებავთ, ფანტასტიურათ უნდა გვეჩვენებოდეს დღეს პატარა საქართველოს განმარტოებული გმირული შებრძოლება დიდ რუსეთთან 1924 წელს?! დიახ, ამაშია ერის ძალა, მისი მომავალი, მარადისობა. განა ასეთ ერის შვილთ მართებთ სასოწარკვეთილება?

ჩვენ გვმართებს მეორე: ღირსეულათ ვატაროთ ქართველის სახელი. აჯანყების გმირნი, ცოცხალნი და მკვდარნი, მოგვიწოდებენ იმავე თავდადებისათვის, მსხვერპლისათვის, რაც თვითონ გვიჩვენეს.

მტერი ძლიერია, მასთან განმარტოებული შებმა სახიფათოა. ეს საანბანოა დღეს ყოველ ქართველისთვის, ქადაგებაც არ ეჭვრება. დაგვრჩენია. მაშასადამე, ერთად ერთი გამოსავალი. მეზობელ ერებთან ერთ მთლიან ბრძოლის ფერხულში ჩაბმა, გადაბმა ჩვენი ბრძოლის სხვა ჩაგრულ ერთა ბრძოლასთან მთელი კავშირის მასტაბში, გამოყენება თვით რუსის ერის ბრძოლისა იმავე მტარვალთა წინააღმდეგ.

მაგრამ რა გვეჭვრება უწინარეს ყოვლისა? მთლიანობა, ერთსულოვნება თვით ქართველთა შორის. ჩვენს ემიგრანტებს ყური რომ დაუგდოთ, თითქო მოგეჩვენებათ, რომ ეგ შეუძლებელია! ნუ დავიწყებთ, ყურდასაგდები ქართველი ერია, რომელიც იბრძვის მთლიანათ და ერთსულოვნათ, საქმით და არა სიტყვით, თავის ტერიტორიაზედ.

ქართველმა ერმა იცის, თუ რატომ ესწრაფვის მტერი თავის დაზღვევას პაქტებით, აღმოსავლეთის ლოკარნოთი, რისთვის უნდა თავი შეაფაროს ერთა ლიგას... მაშასადამე, მტრის მდგომარეობა არც ისე სახარბიელოა, როგორც ეს ეჩვენებათ უცხოელებს. ქართველმა ერმა იცის, რომ დრო მისთვის, ყველა ჩაგრულ ერებისთვის, მუშაობს. ქართველი ერი თავის სიმაღლეზედ იქნება მტრისათვის საბედისწერო ჟამს.

1924 წლის აჯანყება ამის თავდებია. ქართველნო, ვისმინოთ ჩვენი გმირების ბრძოლის ყიჟინა: საერთო ძალით საერთო გამარჯვებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი აგვისტო

აგვისტოს თვე თავის მრავალფეროვანებით და ღრმა ისტორიული განცდებით ახალი და წარუშლელი ფურცელია ქართველი ერის ცხოვრებაში. მის არსში ჩაქსოვილია საქართველოს იდუმალი ფიქრები და მისწრაფებანი ჯერ კიდევ განუზომელი და აუწონი. მხოლოდ ათი წელია, რაც ეს დიადი ფურცელი სისხლით დაიწერა და ის უკვე გადაიქცა ჩვენი ცხოვრების ეპოქალურ მოვლენად, რომლის ფონზე მოსჩანს საქართველოს ტრაგედია და თავკანწირული ბრძოლა თავისუფლებისათვის. ამდენად აგვისტო არა მარტო ისტორიული ამბავია ასაწერად და გასარჩევად გადაშლილი, არამედ ის მიმდინარე პოლიტიკის საგანია ყოველ დღიურ ბრძოლის დროს ჩასახედი და ამოსაკითხი.

ამიტომ მეც მინდა ჩემი მოგონების ნაწყვეტიდან ზოგი ეპიზოდის გადმოცემა თვალით ნახულის და პირველ წყაროდან გაგონილის. მაგრამ, ჰაი, ჰაი, რომ ყველაფრის თქმა არ შეიძლება,—რომ აგვისტოს გრანდიოზული სახე სრულად გამოჩნდეს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ამის დრო არ დამდგარა...

. . . უკვე ექვსი თვეა, რაც პროვინციიდან გამოგიწვიეს და ტფილისში ვარ; არალეგალურად ვცხოვრობ და ვმუშაობ. თითქმის ღამე არ გაივლის, რაიმე კრებაზე არ მოგვიხდეს დასწრება, ხან პარტიული, ხან პროფესიონალური და ხან წმინდა სამხედრო საქმეები თავზე საყარია. ყველა ნივრებ დაჭიმულია. ჰაერში ჯანყის სუნი ტრიალებს. «როდის იქნება»—აი კითხვა, რომელიც ყველა კრების მიუცილებელ სგნად გამხდარა. ელიან და თავის ლოდინში ყველა მოუთმენელია...

გაზაფხული იწურება და ნერვიულობა მატულობს. ყველა გაზაფხულზე მოელოდა თავისუფლების ზარების რეკას. და აი ზაფხულიც მოდის და თან მოაქვს მწარე ამბები: ბენია ჩავარდნილა. მასთან X-ის წერილი უნახავთ, სადაც შეთქმულთ გამოსვლების დაწყებას მთით და ადერბაიჯანით ურჩევს და ამის შესაფერის გეგმასაც იძლევაო. მაგრამ ეს პლანი უკვე უარყოფილია ხელმძღვანელობის მიერ და აჯანყება საქართველომ უნდა დაიწყოს; მთა და ადერბაიჯანი მას მიყვებიან. ამის თადარიგი უკვე დაჭერილია და ზომებიც მიღებული. და ამ დროს ბენიას ჩავარდნა! შეთქმულ ტფილისში გლოვის ზარია.

— თუ ასე უმოქმედოთ ვიქენით, ყველას დედლებსავით დაიჭერენ!—გაისმის საყვედურები საიდუმლო კრებებზე.

იჩქარის მასსა, აორკეცებს მუშაობას ხელმძღვანელობაც. მაგრამ ჩავარდნები საბედისწერო ხასიათს იღებენ. ბენიას მიყვება ვასო ნოდია, ვასოს სანდრო და ასე რიგ-რიგობით შეთქმულთ ეცლება მტკიცე ხელმძღვანელები და საქმეში ჩახედული ორგანიზატორები. ეს კიდევ უფრო აჩქარებს გადამჭრელ მომენტს.

ვუახლოვდებით აგვისტოს. ტფილისი უხილავი ძაფებით ებმება პროვინციებს. ამ უკანასკნელ დღეებში საიდუმლო ორგანიზაციები გაფაციცებით მუშაობენ; მიდის ხალხის აღრიცხვა, იარაღის მომარაგება და კავშირების შინჯვა. ყველაფერი მოძრაობაშია. ჩვენი საიდუმლო ბინებიდან გაბმულია უჩინარი ძაფები ყველა კუთხეებში. რაიონები ფუსფუსობენ. ასე გეგონებათ სკაში თაგვი შემძვრალა და ფუტკარი აუშლიაო. ჩვენი ბინები უკვე არ შეიძლება საიდუმლოთ ჩაითვალოს; დღეში 7-8 შიკრიკი სხვა და სხვა კუთხიდან კარს მოგადგება. ერთი განკარგულებას ითხოვს, მეორე კრებაზე გეპატიჟება და ასე დაღამებამდე. საღამოს კი საიდუმლო კრებები ან აქ ან იქ. მართალია ჯერ არავინ იცის, როდის იქნება დაკვრის დღე, მაგრამ ყველა გრძნობს, რომ ეს უკვე შორს აღარ არის.

გათენდა ხუთი აგვისტო. დღეს რაღაც არა ჩვეულებრივი ამბავი უნდა მოხდეს. დღეს უნდა გადაწყდეს: «ჰო ან არა». ამღამ უნდა მოხდეს ჩვენი სამზადისის შეფასება; ძალების აწონ-დაწონვა და იდუმალ დატის აღბეჭდვა, დამკომს (დამოუკიდებლობის კომიტეტი) და სამხედრო კომისიას საიდუმლო კრება აქვს... ტფილისი სულ განაბული, ყურაცქვეტით უცდის ისტორიული სიტყვის გაგონებას...

და ილევა ხუთი აგვისტო. ღამის უკანასკნელ ჩრდილს განთიადის პირველი სხივი კაფავს. ეტყობა დღეს ჭინჭყლი დღე იქნება. ცა ჩამოსტირის და ტფილისს ლეგა ღრუბლები შავ სუდარათ თავს ჩამოცმია, თითქოს ბუნება რაღაცას გლოვობს და რაღაც იდუმალ სამძიმარს გულს ეუბნება. 10 საათია. და უცებ კარი იღება, გაფითრებული და ფერწასული დიასახლისი თავზედ მადგება და ხმის კანკალით მიმოთქმებს:

— დავიღუპეთ, ვალიკო დაუჭერიათ! ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ხალხი ხართ, თავი თუ არაფრად გიღირთ, ხალხს მაინც რას ეუბნებით?—მისაყვედურა და გაზეთი მომაგება.

გავშეშდი. გულში ათასმა ფიქრებმა გამირბინეს და იუვებით დამკოდეს. ნუ თუ დალატია?.. გაზეთი გავშალე და ვალიკოს ნაღვლიან სახემ შემომანათა; თითქოს მეუბნება: «ყველაფერი გათავდა, ხალხს უშველეთო».

ეს პირველი ნაღმია ჩვენი საქმის ასაფეთქებლად მტრის ხელით შემოდობილი!

დაიწყო მწარე დღეები—სავსე დრამატიული ეპიზოდებით. გაზ. «კომუნისტი» და «ზარ. ვოსტოკა» აჭრელდა აჯანყების მზადების ამბებით. ტყვეთ ჩავარდნილი ვალიკო ცეკას და დამკომს ემუდარება: «მოხსენით აჯანყება, ის გაცემულია და განწირული»-ო. ამას მოსდევს ვანო ლლონტის ჩეკიდან დროებით გამოშვება ვალიკოს მუდარის შეთქმულთათვის გადასაცემათ... შედეგად იცვლება გამოსვლების დღე 18 აგვისტო და მზადება კიდევ უფრო ძლიერდება. შეთქმულთ ბანაკი კიდევ უფრო იკუმშება.

ტფილისი და პროვინცია ფეხზეა დამდგარი საომრად წამოქოჩრილი. მაგრამ არავინ იცის, რა წუთს იქნება დამკომის ბრძანება. ის ეხლა მდგომარეობის დიქტატორია; ყველაფერი მაზეა დამოკიდებული და ჩვენც მას შევცქერით...

გათენდა 24 აგვისტო, დილის 10 საათია სასახლის ქუჩიდან გამვლელთ დავცქერი. ეტყობა სიცხიანი დღე იქნება, მაგრამ არ ვჩივი. ამელამ ნაძალადევში ვარ მიპატიჟებული და მეც ამელამდელ საკითხებზე ვფიქრობ. უცებ დიასახლისის ხმა მომესმა; კარებში ვიღაცას შეთქმულის ხმით ეჩურჩულება: «კომანდო?.. შემოდი... არის». შემოდის ჩვენი ჯეირანა *), გაოფლებული. თვალები ეშმაკურად უცინის... წერილს მაძლევს. ვხედავ გრიგოლის ხელია. დღეს საღამოს 9 საათზე «ხეივანში» (მამადავითის გორა) მეპატიჟება.

— ქალო, ამელამ ხომ «გაღმა» უნდა გავსულიყავით?—გაკვირვებით ვეკითხები.

— გრიგოლი გთხოვს იქ არ წახვიდეო—ეშმაკური ღიმილით მიპრის სიტყვას და საჩქაროთ მემშვიდობება. არც მე ვეკითხები, ვიცი დღეს ათ ადგილას მაინც უნდა შეიაროს. მაგრამ მის სახეს დაღლილობა არ ეტყობა... ჰაი, ჰაი, რომ ბევრ ვაჟკაცსაც ჯობია ჩვენი ჯეირანა. განა მარტო ის? კავშირის მთელი სიმძიმე ხომ თითქმის ჩვენს შეთქმულ ქალებს გადაქვთ! და ეს კი მთავარია ჩვენს მუშაობაში. ეს გვამხნევებდა, ძალას გვმატებდა. ამ ისტორიულ დღეებში ქართველი ქალი თავის მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ისინი მამაკაცებს ეჯიბრებიან, სახიფათო საქმეს არ ერიდებიან და თავის მამაცობით და თავდადებით მორალურ ძალას გვმატებენ. ჯეირანაც ქართველი დედის ტიპიური წარმომადგენელია...

საღამოს 8 ნახ. საათია. მზე უკვე ჩაცურდა ავჭალის ორწოხში და თავისი უკანასკნელი სხივი ტფილისს მიაბნია. მეც დრო ვიხელთე და ფრეილინის ქუჩას აუხვიე. მამადავითის კალთებზე ჩირგვიდან პინო გამოძვრა, ლანდივით გვერდზე გამეკრა და თითით გორის კენჩხო მაჩვენა. ორივენი ძეგლების ჩრდილს შევერიეთ და მაღლობზე შევცოცდით. დანიშნულ ადგილას შეთქმულნი შეკრებილან. ტაბახმელას მხრიდან მთვარე უკვე ამოგორებულიყო და თავის გაბადრულ სახეს მტკვრის მოლივლივე სარკეში ილამაზებდა. შეკრებილთ მივესალმეთ და ჩვენც იქვე ქვაზე ჩამოვჯექით. რაღაც იდუმალი სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა რაღაც უცნაურ ფიქრებს გაუტაცნია და ჩვენს ქვევით გაშლილ ტფილისზე თვალები მიგვჭედვია; მისი შუქურა სანათურები, თითქოს, იდუმლად გამოიყურებიან და სიკაშკაშეში მოფარეს ეჯიბრებიან. «არსით ხმა, არსით ძახილი». ტფილისი სდუმდა და მის დუმილში მტკვარის დუდუნი ყრუდ მოისმოდა. თითქოს, ჭაღარა ტფილისიც გრძნობდა მის შვილთ განზრახვას და იგონებდა შორეულ წარსულთ და სახელოვან მამულიშვილთა მზგავს შეთქმულებებს. ჩვენც გაგვიტაცა ამ სანახაობამ...

*) გასაგები მიზეზის გამო მონაწილე პირებს ზედმეტი სახელებით ვიხსენიებთ.

— ეჰ ტფილისო, ვინ რაცის ხვალ რა მოგელის, ვისი იქნები!—გაისმა ბეჭანის ლრმა ამოხვნეშა—აბა შეუდგეთო. დაუმატა და ჩვენც ერთი მეორეს მიუქით, ცხვირი ცხვირს მივადეთ და ჩურჩულით მსჯელობა გავაბით.

— კომანდო, აი ეს წაიკითხე—წამჩურჩულა გრიგოლმა და ხელში დაჭმუჭვნილი ქაღალდი მომცა. მთვარის შუქზე შემდეგს ვკითხულობ: «ჩვენ გადავედით საიდუმლო ბინებზე. მალე გნახავთ გამარჯვებით»-ო. გულში რაღაც მომწყდა. ეხლა ყველაფერი ნათელია: დამკომი გასულა ტფილისიდან. აღსრულდა ის, რისიც ყველაზე მეტად გვეშინოდა. ტფილისი დატოვებულია! მაგრამ ამხანაგებისთვის ხმა არ გამიცია. თუმცა ყველამ შემნიშნა უეცრივი დაძმარება. მხოლოდ გრიგოლამ მიოხუნჯა: «სატრფოს წერილი მიიღო, ალბათ, ესაყვედურებაო».

განვლო 25, 26 აგვისტომ, არაჩვეულებრივი არაფერი მომხდარა. ორგანიზაციული აპარატი შეუჩერებლივ მუშაობს. მოდის არსენალის ჯგუფის ხელმძღვანელი დათიკო და არსენალზე ჩვენი ძალების მდგომარეობას მაცნობს. საქმე კარგად არის, ღვთით, ჯერ არავინ ჩავარდნილა. ყოველ წუთში ველით დამკომის განკარგულებას. ამ ლოდინში თენდება 27 აგვისტო. დღე ნახი და სურნელოვანი დგება. ტფილისის ქუჩებს რაღაც გამოცოცხლება ეტყობა და არაჩვეულებრივ საზეიმო სახით გამოიყურება. რაღაცას ველი, მაგრამ თვით არ ვიცი რას. კარი იღება და ნიკო ღიმილით მესალმება.

— აი ეს წერილი გადმომცა თინამ და მთხოვა საჩქაროდ შენთვის გადმოცემა. თითონ კი ხარფუხისაკენ მიეჩქარებოდა.

დახურულ კონვერტს ვხსნი და შიგ ქარაგმულ სიტყვით ნაწერში შემდეგს ვკითხულობ: «ამელამ ტფილისის სამხედრო კომისიის სხდომა შესდგება, რომელიც დამკომის დადგენილებით ტფილისის ბატონ-პატრონათ რჩება და შენ უნდა იქნე ტოლუმბაშათ»-ო. ვფიქრობ ვერაფერი გამიგია. ალბათ გამოსვლა ამ ერთ კვირაში მაინც არ მოხდება, თორემ ასეთ წინადადებას, როგორ მომცემდენ? უნდა წავიდე. ალბათ, ამელამ ყველაფერი გამოირკვევა.

დაღამდა. კრება დავითის ქუჩაზეა და მეც იქითკენ ვეშურები. გულში სიხარული მწუხარებას ებრძვის, იმედი უიმედობას, ანჩხლდება. მივედი, უკვე შეკრებილან. მივესალმე დამხდურთ.

— ყველანი ვართ?—ვეკითხები იქვე გერმანეს.

— თითქმის ყველანი არიან, მხოლოდ სოლიკომ დაიგვიანა.—ამ დროს კარებში კოჭლობით სოლიკოც შემოგვეგება. კრება გაიხსნა და დამსწრეთა შემადგენლობაც აღინუსხა. აქ არიან სოც. დემ—ბის ორი წარმომადგენელი მე და გერმანე, ნაც. დემოკრატებიდან—სოლიკო და იშხნელი, ესერებიდან—ლეილა *). სხდომის გამძღოლად ლეილა ავირჩიეთ. საერთო მდგომარეობაზე მოხსენებას გერმანე გვიკე-

*) სოც.-ფედერ. მთავარი კომიტეტი წინაამდეგი იყო აჯანყების, რადგან იგი მოუმზადებელად მიაჩნდა. მაგრამ მათმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ყველგან მიიღეს მონაწილეობა აჯანყებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებს, როგორც სამხედრო კომისიის წევრი, ხოლო ჩოლოყაშვილის რაზმის შესახებ—სოლიკო.

ირკვევა შემდეგი სურათი: ტფილისი და მისი რაიონები იძლევა 1500 კაცზე მეტს (ეს რიცხვი სამჯერ შემცირებულია საერთო შესწორებულ სიის მიხედვით). ესენია დამკვრელი ჯგუფები, რომელთაგან ზოგი საკმაოდ შეიარაღებულია. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ჩეკას და მის რაზმს, არსენალს, მთავრობას, სადგურს და სატუსაღოებს. მაგრამ ეს ამოცანა უნდა შესრულდეს მაშინ, როდესაც ვაზიან-მანგლისით ტფილისს აჯანყებულთა რაზმები მოადგებიან. დამკომის ანგარიშით ეს იქნება 30-31 აგვისტო. მილიცია, რკინის გზის რაზმი არ საჭიროებს განსაკუთრებულ შეიარაღებულ ძალას; მთავრობის წევრების კერძო ბინების გასაღებებიც ჩვენს ხელშია და ჯავშნოსან ავტომობილების რაზმიც შემოქალტული გვყავს. ამ უკანასკნელის აღების შესაძლებლობანი უკვე გადავეცი სოლიკოს და ის ამას მოუვლის. ამრიგად საბოლოო მოქმედების გეგმა შედგენილია და ძალებიც განაწილებული. ხოლო სადღეისო, ე. ი. 29-ს გამთენიეს ამოცანაა ტფილისში მდგომ ჯავშნოსნების ჩაგდება, აეროპლანების, რადიოს და ფოსტა-ტელეგრაფის დაჭერა. ყველა ამ პუნქტებზე საიმედო ხალხია მიმაგრებული.

ამრიგად ტფილისში იმედიანი მდგომარეობაა. თუმცა უნდა ითქვას, რომ 24 აგვისტომდე ეს მდგომარეობა კიდევ უკეთესი იყო, ე. ი. ჯინორიას დასავლეთ საქართველოში გადაყვანამდე. სამწუხაროდ, ჯინორია მოხსნეს სწორედ მაშინ, როდესაც ის, როგორც საქმეში ჩახედული და გაცნობილი, ყველაზე მეტად საჭირო იყო ტფილისში. მის ხელში თავს იყრიდა ყველა კავშირები. ეს უეჭველია დიდი ნაკლია, მაგრამ რას იზამ, ალბათ დამკომს ეს საჭიროდ მიაჩნდა და ჩვენთვის მისი გადაწყვეტილება ხომ კანონია.

მანგლისის და ვაზიანის შესახებ სოლიკო გვამცნობს მდგომარეობას: მისი ცნობით, ჩოლოყაშვილს 18 აგვისტოსათვის საკმაო ძალა ყავდა მანგლისის ასაღებად და ტფილისზე წამოსასვლელად. «მაგრამ ახლა—ამბობს სოლიკო—ხალხი დაიშალა და ვეჭვობ საკმაო ძალა ყავდეს მას ამოცანის შესასრულებლადო». ვაზიანის მხრივ უფრო საიმედო ცნობებია. იქ მოქმედებს ცაგურია და ხალხიც საკმაოდ ყავს, თანაც თვით პუნქტზე ხელსაყრელი პირობებია.

ამრიგად, თითქოს, ყველაფერი რიგზეა, ზუსტად გამოანგარიშებულია და უიმედობას ადგილი არ უნდა ქონდეს. დავიშალეთ. მაგრამ გულს მაინც იჭვის ჭია ღრნის: «არა, რატომ გაიხიზნა დამკომი? ნუ თუ პროვინციის აღება გადაჭრის საქართველოს ბედს?» აბა რა ვიცით, რომ ბედი უარეს სიურპრიზს გვიმზადებს! თურმე, როდესაც ჩვენ დავითის ქუჩაზე ვთათბირობთ და პლანებს ვაწყობთ, ამ დროს ჭიათურაში შეთქმულნი ღამის ჩრდილში მტერს ეპარებიან, შეტევისათვის ემზადებიან.

გათენდა 28. არაფერი ისმის. თითქოს ჰაერიც გარინდებულა და გრიგალის მოლოდინში სულ განაბული რაღაცას უცდის. ნაშუადღევი გადაიწურა. არავინ სჩანს. უცნაური იჭვი მიპყრობს. რაშია საქმე? გუშინ შიკრიკი-შიკრიკს მოსდევდა. დღეს კი არავინ ჩანს... და პეტროვის ქუჩის ამოსახვევში ნაცნობი თეთრი კაბა შევნიშნე. უეჭველია ჯეირანაა. ჩქარი ნაბიჯით ჩემი ბინისკენ მოიმართება. კარებს მივაშურე და მივაძახე:

— რა ამბავია?—პასუხი მის დაღვრემილ სახეში ამოვიკითხე.

— სოსო და გივი დაიჭირეს, პეტრე სადილათ სახლში არ მოსულა. ქალაქში პატრულები დადის, რაღაც გაიგეს ამ ძაღლებმა.—ხმის კანკალით მომიჭრა გამზადებული შეკითხვა.

— გასწი გერმანესთან, გამიგე, ცოცხალია თუ არა.—და შემოვტრიალდი, სახლში გადავსწყვიტე გაღმა გავიდე. გრიგოლი ვინახულო. ვიცი სახიფათოა დღით დევნილისათვის გარედ გამოსვლა, მაგრამ ჯანაბას. მეტი ჯანი არ არის. მოხუცი დიასახლისი მიმიხვდა ჩემს განზრახვას და საყვედურის კილოთი შემეკითხა:

— სად მიდიხარ, შვილო, თუ საქმე მოითხოვს, მე წავალ, ჯერ კიდევ მუხლი მივარგა ვერის დაღმართზე ჩასასვლელად. შენ კი აქ დარჩი. ვინ იცის ეგებ მოგაკითხონ.

პასუხი გერმანეს «გამარჯვებამ» შემაწყვეტინა. ის ახალი ამბებით დატვირთული ჩემსკენ წამოსულა... ჭიათურის ნაადრევად გამოსვლა მომისამძიმრა და იქვე სკამზე ჩამოჯდა.

— ეგ კიდევ არაფერი—ნაღვლიანად დაუმატა—რომ ტფილისში მდგომარეობა არ შეცვლილიყო. ჩვენი ბიჭები... მოხსნეს და ზოგი კიდეც დაატუსაღეს. ჯავშნოსნები ქალაქ გარედ გაგზავნეს. ქალაქში გაძლიერებული რაზმები დადისო—დაასკვნა სახე გაფითრებულმა. ლაპარაკის დრო აღარ არის, ფიცხლავ გადავწყვიტეთ საღამოსათვის შევიკრიბოთ და შექმნილ მდგომარეობაში გავერკვეთ.

დაღამდა, სასწრაფოთ თათფირი გაიმართა და ჩვენდა სავალალოდ გერმანეს ცნობები გამართლდა. აღმოჩნდა, რომ ჯავშნოსნები ტფილისისიდან გაუყვანიათ. ნაწილი ხაზზე დადის, ნაწილი ავჭალა-ნავთლუღიდან ტფილისს დარაჯობს. ფოსტა-ტელეგრაფი და რადიო მიუვალ ციხეთ ქცეულა; ხელისუფლება ფეხზე დგას და თადარიგი დაუჭერია. ჰაეროპლანები უკვე ნაშუადღევს აფრინდენ და ჭიათურას სვავ-ორბებივით თავს დასტრიალებენ. ამით ჩვენი ამეღამდელი ამოცანა ფაქტიურად მოიშალა. თანაც რეპრესიები გაძლიერდა და ქალაქი საალყო წესების სახეს იღებს. კავშირების და საქმეში ჩახედულ ცალკე პირების ჭერა მასიურ მოვლენად გადაიქცა. ამ რიგად 28-ს საღამოს ჩვენთვის აშკარა გახდა, რომ 29-ს ტფილისში მოცემული ამოცანის შესრულება ფაქტიურად შეუძლებელია. მტერი გაფრთხილებულია და თადარიგი დაჭერილი აქვს. ჭიათურის 24 საათით ადრე გამოსვლით საქმე წაგებულია. თანაც 17-19 აგვისტოდან ჯარები მოიხსნა სახაფხულო ადგილებიდან და ტფილისში დაბანაკდა. ამიტომ დარჩა ერთად-ერთი იმედი ვაზიანის და მანგლისის მხრით. საჭირო იყო ჩვენი ძალების ისე განაწილება, რომ თუ ამ მხარეებიდან, როგორც დამკომს ქონდა წარმოდგენილი, ტფილისს მოადგებოდენ, ჩვენ შიგნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან დაგვერტყა და მტრის ზურგში ცეცხლი დაგვენთო.

მაგრამ... 29-ს დილით გამოირკვა, რომ ვაზიანში ოპერაცია ჩაიშალა, თუმცა იქ ყველაფერი მომარაგებული და მომზადებული იყო. მანგლისი აიღო ჩოლოყაშვილმა, მაგრამ ტფილისისაკენ წამოსვლა ვერ შესძლო ძალების უქონლობის გამო. ამრიგად ტფილისის სამზადისი და უტყუარი შესაძლებლობანი გამოუყენებელი დარჩა...

29-ს დილით ადრე იზმაილოვის ქუჩაზე ტყვიისმფრქვეველები აკაკანდენ. რუსის წითელი ჯარის ერთი გუნდი ჩეკის რაზმთან ერთად გარს შემორტყმია სამიწათმზომლო სასწავლებელს და ტყვიის სეტყვით ცხრილავს. პეტროვის ქუჩის მაღლობიდან საიდუმლო ბინიდან დავცქერით ამ უსწორო ბრძოლას; არავინ იცის რაშია საქმე? ამ‍ბარაა ერთ-ერთი ჩვენი რაზმია, მტერს გაუგია და ალყა შემოურტყამს. რაზმელები ლომებივით იბრძვიან. აგერ იფეთქა ხელის ყუმბარამ და რამდენიმე ჩეკისტი ჩაიკეცა. დიდი ბრძოლის შემდეგ მტრის რკალს პოღვევენ და ვერის აღმართზე მიცოცავენ. უკვე დღეა და ხალხი ხედავს დევნილებს, მაგრამ ჩეკისტების შეკითხვაზე ყველანი «არ ვიცი»-თ უპასუხებენ. აღმოჩნდა ეს ფედერალისტების რაზმი ყოფილა. რიცხვით ათამდე, რომელთაგან ორი დაიჭრა და ერთი მოჰკლეს.

ვხედავთ დავმარცხდით. გუშინ ნაშუადღევიდან ტფილისში ინიციატივა მტრის ხელში გადავიდა. მაგრამ ვიცით ქალაქ გარეთ ბრძოლები მიდის; ჩვენც ვცდილობთ რამეთი დავეხმაროთ. იძლევა განკარგულება, მოსწყვიტონ ტფილისი პროვინციებს და ჯარების მოძრაობა შეაფერხონ. რამოდენიმე ჯგუფს ეძლევა ამოცანა გადასჭრან ფოსტა-ტელეგრაფის მავთულები ყველა მიმართულებით და ააფეთქონ ხიდები კახეთის და ბათუმის ხაზზე. პირველი სასწრაფოთ სრულდება, ხოლო მეორე შეუძლებელი ხდება, რადგან ყველა ხიდებს უკვე გაძლიერებული რაზმები იცავენ.

29-ს დილიდან ჭერა და ჩხრეკა უკვე მასიურ ხასიათს იღებს. ტფილისში საალყო წესებია გამოცხადებული. ქუჩაში გასვლა საღამოს 9 საათიდან უნებართვოთ აკრძალულია. მიუხედავათ ამისა 29-ს მთელი დღე და ღამე ქუჩები ხალხითაა გაჭედილი. რაღაცას ელიან. აგერ-ეგერ ჯგუფ-ჯგუფად გრუვდება ხალხი და აჯანყებაზე ბჭობენ, ერთი მეორეს ფანტასტიურ ამბავებს უთხრობენ; მტრის აღსასრულს უღიმიან. ჩეკის რაზმები ხან ერთ ჯგუფს დაშლიან და ვინმეს ატუსაღებენ და ხან მეორეს, მაგრამ ხალხი მაინც არ იშლება. ქართველს დღეს ერთი შეხედვით იცნობ: ვინ არის სახე მომციანარე, თავ აწეული? —უეჭველად ქართველია; ვინ არის დაღვრემილი და შიშნაკრავი?—ეს არა ქართველია, მტერი ან მტრის კერძია... შუაღამემ მოაწია, ქუჩები დაცალიერდა ჩეკამაც უმატა სუსხს. უკვე გამოჩნდენ საბარგო ავტომობილები; მათ გუგუნში კანტი-კუნტათ მოისმის ტუსაღთა კვნესა. ეს პირველი ჯგუფია ჯალათის ლუკმათ გაგზავნილი.

ხვრეტა დაიწყო.

30-31 აგვისტო, 1-2 სექტემბერი საშინელ დღეებათ უთვნდება მრავალტანჯულ ტფილისს. ტუსაღები ჯგუფ ჯგუფად გამოყავთ და ჯალათის ხელი შეუჩერებლად მუშაობს. ხვრეტენ ყველა მეხუთე ტუსაღს საერთო სიიდან...

... ორი დღეა ჭიათურა აჯანყებულთა ხელშია. მთელი შორაპნის მაზრა ფეხზეა. ჩხარში ბრძოლები მიდის, რუსის ჯარის რაზმს აჯანყებულნი ამარცხებენ და რკინის გზისაკენ ახევინებენ. ქუთაისის მაზრაში მდგომარეობა გართულდა, ჩვენებმა ვერ შესძლეს ქუთაისის აღება და სამხრეთით იხევენ; ვანო სტურუას და რუბენ ხელთ იგდებენ. რაჭა-ლეჩხუმი აჯანყების ცეცხლშია. სამეგრელოში დიდი ბრძოლები მიდის; ზუგდიდი, სენაკი და მთელი მიდამოები აჯანყებულთა ხელშია. ხალხი დროშებით და ზეიმით რესპუბლიკას აცხადებს. სენაკში კრებაზე დაიჭირეს რენეგატი ა. რუხაძე მენშევიკური პარტიის «სალიკვიდაციოთ» ჩამოსული... გურიაში შეუპოვარი ბრძოლები მიდის. მთელი გურია აჯანყებულთა ხელშია. ოზურგეთს ალყა აქვს შემორტყმული... ყოველგან ადგილობრივი კომუნისტები დატუსაღებული და იარაღ აყრილი არიან... ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მტერი ჭიათურის გამოსვლით 24 საათით ადრე იქნა გაფრთხილებული, მთელი დასავლეთი საქართველო აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. აღმოსავლეთიდან ცნობები ნაკლებათ სანუგეშოა. მტერმა შესძლო ვაზიანის ოპერაციის ჩაშლის გამო აღმოსავლეთში სუსტად დაწყებული აჯანყების მალე ჩაქრობა. თანაც 31 აგვისტოდან ბაქოს მხრიდან დაიწყო რუსის ჯარების შემოსვლა და მათი ტფილისის ახლო-მახლო რაიონებში ამოქმედება... მიუხედავათ ამისა გულს იმედი ეპარება. ვინ იცის, ეგებ დამკომის პლანმა გასჭრას და პროვინციამ ტფილისი გაანთავისუფლოს! მაგრამ კვლავ უიმედობა! «ჩოლოყაშვილმა მანგლისი დასტოვა და დუშეთისაკენ გაეშურა»-ო—გულამოსკვნით მეუბნება შიკრიკი...

და, აი გათენდა 4 სექტემბერი. მზე დასავლეთით გადაიწურა. ნაძალადევში ვარ. დამკომიდან არავითარი ცნობა და ეს დუმილი რაღაც იმედებს გვიძრავს. ვინ იცის ეგებ მდგომარეობა შეიცვალოს. და თავზარდამცემი ცნობა: «დამკომი ჩავარდა, ტფილისში ჩამოიყვანეს»-ო. ეხლა კი ყველას იმედი გადაუტყდა; სასოწარკვეთილებამ მოიცო. «საქართველო აღსდგა, ხოლო ტფილისი გაუნძრეველი დარჩა». გაისმის აქა-იქ საყვედური. მაგრამ სასოწარკვეთილება და საყვედური საქმეს ვერ უშველის. საჭიროა ის გადავარჩინოთ, რის გადარჩენაც კიდევ შეიძლება.

ხარფუხის რაზმიდან მომდის ცნობა: «გვინახულეთ, გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთ»-ო. მე ნაძალადევში ვარ, ხარფუხში ასვლა დევნილისათვის დიდი რისკია. ცხადია, დაღამებას ვერ მოუცდი. ამ ჩემს გასაჭირზე შევჩივლე დიასახლისს.

— ამაზე ადვილი რა არის?—მომიჭრა გუშინ ძმა დახვრეტილ ჭატომ—ხელში აიყვინა ჩემი თინა, მე უკან გამოვყვები პარკით ხელში და სადგურის ქუჩაზე «ფაიტონი» დავიჭიროთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმა და შესრულება ერთი იყო. ავედი ხარფუხში; ჩავედი სარდაფში, სადაც 15 შეიარაღებული რაზმელი დახიზნულიყო. შესვლისთანავე მივხდი, რომ მათ ყველაფერი იცოდენ. პირდაპირ საქმეს შეუდექით. მათი პირველი მოთხოვნა იყო მიგვეცა ნება, რომ გამოსულიყვენ და ქუჩაში ბრძოლით დახოცილიყვენ.

— აბა სად ჯნდა წავიდეთ, დედლებივით თავს ხომ არ დავაჭრევინებთ ამ წუპაკებს?—შემომაგება თვალებ ანთებით რაზმის მეთაურმა.

— არა, არ შეიძლება, მეგობრებო,—ვარწმუნებ—ჩვენ არ გვაქვს უფლება გულისთქმას ავყვეთ და ტფილისის ასაწოკებლად საბაბი მივცეთ. განა არ კმარა, რაც სისხლი დაიღვარა? სჯობს ამეღამ ქალაქ გარედ გახვიდეთ და დროებით გაიხიზნოთ, ვნახოთ ამბები რა მიმართულებას მიიღებენ.—იმედიანი კილოთი ვემუდარები... ვატყობ დავაჯერე. ყველანი გადავკოცნე და გამოვემშვიდობე.

— ყოჩაღათ იყავი, ჩემო კომანდო—კარებში დამადევნა გოლამ და ერთხელ კიდევ გადამკოცნა. გული ჩამწყდა. ვინ იცის, თავგანწირულო ძმებო, აწი კიდევ განახავთ თუ არა?!..

5 სექტემბერს დამკომის ცნობილი დეკლარაცია გამოქვეყნდა. ხვრეტა ნაწილობრივ შეწყდა. აქა იქ პროვინციებში ბრძოლა გრძელდება. გურიის აჯანყებულნი მთებში იხევენ ბრძოლით. სამეგრელოში მასიური ხვრეტა და შურისძიებაა აჯანყებულებზე. ტფილისში შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა. ჩეკიდან ზოგი ტუსაღები გამოუშვეს. გამოვიდა ჩვენი დათიკოც და მყისვე ვინახულე.

12 სექტემბერს ტფილისის კომიტეტის სხდომა გვაქვს პლეხანოვის პროსპექტზე ერთ-ერთ სარდაფში. და იქ დათიკოც მოვიწვიეთ. ეს პირველი კრებაა აჯანყების შემდეგ. სხდომას დაესწრენ რაიონების წარმომადგენლებიც. კრების საგანია მდგომარეობის შეფასება, დანგრეულ პარტიულ ორგანიზაციების აწყობა; გადარჩენილ პარტიებთან კავშირის აღდგენა. მოხსენებას გვიკეთებს დათიკო ჩეკაში აგვისტოს დღეების შესახებ. აქ გადაიშალა მთელი ის საშინელება, რაც ხვრეტის დღეებში ტუსაღებს განეცადათ... სხდომაზე გამოირკვა, რომ რაიონები მოითხოვდენ ინფორმაციას და დირექტივას. ცეკა აღარ არის, ამიტომ ტფილისის კომიტეტმა უნდა ითავოს ხელმძღვანელ ორგანოს შექმნა და პროვინციებთანაც კავშირის გამბვა. სათანადო დადგენილებები მივიღეთ და დავიშალენით.

ამ მთელ უბედურებაში ერთი სასიხარულო ამბავიც გამოგორდა. ჩვენი აორნი გადარჩენილა. დამკომის სადგომიდან ისღაა ფეხზე. ვისწრაფვით მის ნახვას. მეორე დღეს მას უკავშირდებით მე და გრიგოლა. ვითათბირეთ, ინფორმაცია მივიღეთ და გადავწყვიტეთ ქართველ ხალხს მოწოდებით მივმართოთ. ცეკას მაგიერ საორგანიზაციო კომიტეტი შევადგინოთ და პარტიული არალეგალური ყურნალი გამოვცეთ.

16 სექტემბერს საორგანიზაციო კომიტეტი უკვე ჩამოყალიბდა. მოწოდებაც გამოიცა და ზოგიერთ მაზრებთან კავშირიც გვაქვს. გურია პირველად გვიკავშირდება. გახიზნულ რაზმს ვლასა მგელაძე ჩამოსცილდა და გურიის სამაზრო კომიტეტთან ერთად დანგრეულ ორგანიზაციების აწყობას შეუდგა. დამარცხების კოშმარი თანდათან იფანტება. მუშაობა ეწყობა და მოქმედების გეგმაც ირკვევა. 17-ს სალამოს საორგანიზაციო კომიტეტი შეიკრიბა ნაძალადევში რკინის გზის პირას საიდუმლო ბინაზე. პირველი კითხვაა: რაიონებში წასვლა და საინფორმაციო მოხსენების გაკეთება პარტიულ უჯრედებში. საორგანიზაციო კომიტეტის ზოგიერთი წევრები წინააღმდეგია ამ ნაბიჯის. ის მიაჩნიათ შექმნილ პირობებში სახიფათოთ: «ვაი თუ დამარცხებით სასოწარკვეთილმა ხალხმა დაგვჭიროს და ხელისუფლებას გადაგვცეს. ეს იქნება მეორე დამარცხება»-ო. ეს არგუმენტი, უეჭველია, ტეროორის ატმოსფერაში, ცივი გონების ანარეკლად გამოიყურება. მაგრამ მაინც გადაწყტდა რაიონების დავლა. პირველ რიგში მე და გრიგოლს შეგვხდა ამ «სახიფათო მისიის» შესრულება.

შაბათია. 18 სექტემბერი. მე და გრიგოლი შეუდექით ვერის აღმართს, წყნეთის ქუჩაზე კრებაა დანიშნული. ჩვენ გველოდებიან. შევედით, მოზრდილ დარბაზში 40 45 ქალი და კაცი შეკრებილა. შესვლისას ყველას თვალები ჩვენ მოგვაშტერდა. მაგიდის ყურიდან ჭაღარა ასოთ-ამწყობი წამოიჭრა და ხელებ გაშლილი მოგვაშურა, გულში ჩაგვიკრა და ჩაგვკოცნა: «მადლობა ღმერთს. ცოცხალი ხართ, ჩვენ კი გვეგონა აღარავინ დარჩა და გგლოვობდით»-ო. სათითაოდ ყველას მივესალმეთ. ეგერ კუთხეში მუშაქალი ჩვენი გაიანე ქვითინებს, მას საყვარელი ქმარი დაუხვრიტეს და დღეს საიდუმლო კრებაზე მოსულა; თავისი ქმრის ადგილი დაუჭერია და შეთქმულ ძმებს გვერდში ამოსდგომია... კრება გავხსენით; მომხდარ ამბებზე სიტყვა 12 საათამდე გავაგრძელეთ...

— შეკითხვა ხომ არ არის?—ეკითხება კრებულს ჭაღარა თავმჯდომარე. სამარისებული სიჩუმეა. მეორე შეკითხვაზე აქეთ-იქიდან მაისმა:

— რაღა წარსულზე ვილაპარაკოთ? ჩვენ ისა ვსთქვათ აწი ისე, როგორ ვიმუშავოთ, რომ გამარჯვება მოვიპოვოთ.—თავმჯდომარემაც კვერი დაუკრა და კრებულს მგრძნობიარე სიტყვით მიმართა... იქვე ფიცხლავ გამოყვეს სათანადო პირები თავთავის პროვინციებში გასაგზავნათ და იქ ორგანიზაციების აღსადგენად. თანაც საორგანიზაციო კომიტეტის შექმნა და მის მიერ აღებული ხაზი მოიწონეს.

დავიშალენით. მე და გრიგოლი ერთი მეორეს შთაბეჭდილებებს უზიარებთ. ნახული გვახარებს და დამარცხების ტკივილებს გვიამებს. ეტყობა საშინელ ტეროორს და აჯანყების სისხლიან შედეგებს ხალხის გული არ გაუტეხია. ეს ძალას გვმატებს, ხალისს და უნარს გვიასკეცებს. მაგრამ... დახოცილი ამხანაგები მუდამ ლანდათ თან დაგვდევენ «იმუშავეთ, არ შეშინდეთ» იდუმალად ჩაგვჩურჩულებენ. და ჩვენც ვმუშაობთ, ოღონ რაკს არ ვერიდებით და ამით ვცდილობთ წამებულ მსხვერპლთა ნუგეშის ცემას...

კომანდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრები ხმამაღლა

შესრულდა 10 წელი ისტორიული აგვისტოს აჯანყებისა. 28 აგვისტოს 1924 წ. ქართველი ხალხი იარაღით ხელში შეებრძოლა საოკუპაციო ხელისუფლებას. ამ დიდი დღეების ერთ-ერთი მონაწილეთაგანი ბევრი ამბების მოწამე გავხდი. სამწუხაროდ ყველა ფაქტების გამოქვეყნება ჯერ შეუძლებელია. აჯანყება დამარცხდა. მტერი დღემდი განაგრძობს ჯალათურ ბატონობას. საკმარისია ყური მოჰკრას რომელსამე ფაქტს—მაშინვე შურს იძიებს. აჯანყებაზე ლაპარაკი თუ წერა მხოლოდ ზოგადად შეიძლება ან დახვრეტილ-დახოცილთა დასახელება. აჯანყებაში კი მთელი ქართველი ხალხი ღებულობდა მონაწილეობას. მოხუცს, ახალგაზდას, ქალსა თუ ვაჟს, მთელ ოჯახებს, ყველას ჰქონდა დავალებანი: იარაღის შენახვა, მალულთათვის ბინის მიცემა, ტუსაღთა კვება-დახმარება, არალეგალური სტამბები, ლიტერატურის გავრცელება, ფოსტის გადატანა, დემონსტრაციები და მრავალი ასეთი სახიფათო და საპასუხისმგებლო საქმე.

ყველა ამას ასრულებდა ხალხი—მასა შეგნებულად და გაბედულად. ყველა მათგანის მოქმედება თვითეულად საინტერესოა და აღსანიშნავი.

როგორც ზემოდ ვსთქვით, დღემდის შეუძლებელია ცოცხლებზე ლაპარაკი.

მართალია ათასობით ხალხი დახვრიტეს, მაგრამ მილიონები ცოცხალი დარჩენ.

ასეთ პირობებში მოგონების ქაღალდზე გადატანა უფერული გამოვა.

მიუხედავად ამისა, შემთხვევით გადარჩენილს, სამშობლოს მოწყვეტილს არ შემიძლია არ მოვიგონო ჩემი ძვირფასი თანამებრძოლნი, რომლებმაც თავი შესწირეს სამშობლოს განთავისუფლებას. აჯანყება აგვისტოში მოხდა მთელი ოთხი წლის წინასწარი ბრძოლების და მუშაობის შემდეგ. წინასწარი მუშაობა საშინელი ტერორის ქვეშ სწარმოებდა. ვისაც ის უნახავს, ქართველი ერის მომავალზე იმედს არასოდეს დაჰკარგავს. საჭირო იყო რაიმე დავალების ასრულებისათვის ერთი ან ორი კაცი—არ იყო ძნელი ასეთების პოვნა. ორის მაგივრად ორმოცდაათი იხვეწებოდა დავალების შესრულებას.

მახსოვს, ბენია ჩხიკვიშვილის და ვალიკო ჯუღელის საზღვარზე ზღვით გადმოსაყვანად საჭირო იყო გამოცდილი და საიმედო კაცი. იმ დროს ეს მარტო ერთი პარტიის საქმე როდი იყო. მივმართეთ გამოცდილ მოხუცს ეფრემ ქარცივაძეს, რომელსაც ქართველობის გარდა არაფერი აკავშირებდა რომელსამე პარტიასთან. ეფრემი ციებით ავად იყო და იწვა. წინადადება მოისმინა, დაფიქრდა და გვიპასუხა—მოვხუცდი და ავადაც ვარ, რომ არ გეთქვათ ეს ამბავი, კარგი იყო; რადგანაც გამენდეთ, ვალდებულად ვსთვლი თავს შევასრულოო. საკვირველი მოხერხებით ორთავენი მშვიდობიანათ გამოიყვანა.

ვალიკომ გვიამბო გზასე, ფული შევაძლიეთ—მოხუცი ეფრემი გაჯავრდა და შეურაცხყოფად მიიღოო. მაშინ შევეკითხეთ, მაშ რით უნდა აგინაზღაუროთ ასეთი ამაგი, რაზედაც ეფრემმა უპასუხა: საქართველო როცა განთავისუფლდება, ჩემს საფლავზე პატარა ძეგლი დამიდგით და ზედ დააწერეთ, რომ მეც ცოტა რამ გავაკეთე საქართველოსთვისო. რამდენიმე თვის შემდეგ ჩეკისტებმა იჯვი აიღეს და ეფრემს თავს დაესხენ. თითონ გაუსხლტა ხელიდან, მაგრამ ჩეკისტებმა მისი ცოლშვილი დაატუსაღეს და საშინლად აწამეს.

ბენია და ვალიკო ბოლშევიკებმა დახვრიტეს, ეფრემი კი ბრმა ბრიყვის ტყვიამ გამოაცალა სიცოცხლეს საფრანგეთში.

ვის არ ახსოვს ბათომში, დედა-შვილი შალში გახვეულნი დადიოდენ ქუჩებში. ერთს წვნო ჰქონდა შალის ქვეშ, მეორეს მოწოდებები. როდესაც ცოფმორეული ჩეკისტები გაშმაგებული დათარეშობდენ და ხალხს მასიურად ატუსაღებდენ, სწორედ ამ დროს ეს ორი ქალი პროკლამაციებით ავსებდენ ქუჩებს. მათი დასახელება დღეს არ შემიძლია, ვინაიდან ცოცხლები უნდა იყვნენ და ადვილი მისახვედრია, თუ რა მოელით.

პარიტეტულმა კომიტეტმა მიმართა თავის ფილიალებს პროვინციებში, რათა 26 მაისისათვის შესაფერი მოწოდებები თავიანთი საშუალებებით დაებეჭდათ, რადგან ცენტრში სტამბა ჩავარდა.

ბათომში სტამბა არ გვქონდა, ამიტომ მომანდვეს გეკტოგრაფის გაკეთება და მომცეს მოწოდების ტექსტი.

ერთი დღის განმავლობაში სამი ბინა გამოვიცვალეთ, ყოველგან ჩეკისტები გვესტუმრენ და ძლივს გავასწარით.

საღამოს გიგა ჩიქოვანმა გამომიგზავნა ერთი ყმაწვილი, რომელმაც წაგვიყვანა აჭარისტანის ერთი მაღალი თანამდებობის პირის ბინაზე, თითონ ამ პირის მეუღლე მუსაიფით შეაქცია, ჩვენ კი ერთ ოთახში ჩაგვკეტა და ღამის პირველ საათამდე ვბეჭდავდით. როგორც შემდეგ ამიხსნა, ის სტუმრად იყო იმ პირისას, როგორც ნათესავთან ჩამოსული.

ბათომის ბულვარის ახლოს ერთ პატარა ოთახში ცხოვრობს ღარიბი ქართველი ქალიშვილი. ჭრაკერვით ირჩენს თავს, დინჯი და კეთილშობილი ადამიანი პირველ შეხვედრის თანავე იწვევს ნდობას და პატივისცემას. მთელი საიდუმლო მიწერ-მოწერა ადგილობრივი თუ საზღვარგარეთელი მასთან იყრის თავს და იმისგანვე ნაწილდება.

არალეგალურად მცხოვრებთა ბინები, მათი ნახვის შესაძლებლობა მხოლოდ აღათი გორდელაძის ასულს ეკითხება. აღათი აჯანყების წინა დღეებში დაატუსაღეს, ბევრი აწამეს, ვერ გასტეხეს.

აჯანყების პირველ დღეებში დახვრიტეს ბათომში ოცდა ცამეტთა შორის. სამაგალითო იყო და იქნება ქართველი ხალხისათვის ამ სანატრელი ქართველი გმირი-ქალის თავგანწირვა.

1924 წელს 26 მაისის წინა დღეებში მთელ საქართველოში მასიური დაჭერები იყო. მე უკვე აპრილიდან ბათომის ჩეკის სარდაფში ვიჯექი. 25 მაისს მოიყვანეს აუარებელი ხალხი. სარდაფებში ტევა აღარ იყო. ტუსაღთა შორის ოცამდე ახალგაზდა მოწაფეებიც ერივნენ.

ერთი სულ ახალფაზდა 16 წლის ბავშვი ჩემ გვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდით მოხვდა. ვიცნობდი მის მშობლებს. ბევრჯელ კრებები გვქონდა მათ ბინაზე და სწორედ ეს ბავში გვიღებდა კარებს. გაიყვანეს ღამით დაკითხვაზე. დაბრუნდა თვალებ დასიებული, ნამტირალი და გალახული. შევატყე, ძლიერ შეშინებული იყო.

გვერდით მოვისვი, მოვეფერე და გამოვკითხე, თუ რა ჰკითხეს და რა უპასუხა. ვშიშობდი რომ გამოტყდა და საჭირო იყო ზომების მიღება. ტირილით მეჩურჩულებოდა, რომ გამომძიებელი ჯერ ბევრ საჩუქრებს დაჰპირდა და როცა ამან არ გასჭრა, საშინლად სცემა. დაემუქრა, მარტოდ ჩაგსვამ ბნელ სარდაფში და იქ ჩაგკლავო.

შეშინებული მეკითხება და თვალში შემცქერის, თუ მართლა დახვრეტენ ან რა მოელის.

აუხსენი, თუ რა ცუდი შედეგის მოტანა შეუძლია გამოტეხას. დავარწმუნე, რომ დახვრეტა არ მოელის. მოსალოდნელია, რამდენიმეჯერ კვლავ სცემონ და თუ ამას აიტანს, სხვა არაფერი მოელის. ოთხი დღის განმავლობაში ყოველ ღამე გაჰყავდათ და სასტიკად სცემდენ. ბავშვმა გაუძლო და არც ერთი წვრილმანი არ გასცა. ზოგი უფროსი შენატროდა მის მხნეობას.

რამდენი მაგალითებიც არ უნდა მოვიყვანოთ მამულიშვილური თავგანწირვისა და გამბედაობისა, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია...

მთელი ქართველი ხალხი ორ ნაწილად გაყოფილა: ერთია მცირე მოღალატეთა ჯგუფი, რომლებიც მოსკოვის მხარეზე გადასულან და ლაჩრულად მტერს ემსახურებიან, მეორე კი მთელი ქართველი ხალხი გაერთიანებული ერის განთავისუფლების იდეით. მეორეში აღარ არსებობს შულლი და უნდობლობა პოლიტიკურ რწმენათა განსხვავების ნიადაგზე.

ვინც მოსკოვს ებრძვის, ყველა ერთ ბანაკშია.

ასეთ სულისკვეთებაში და პირობებში მომწიფდა 28 აგვისტოს აჯანყება.

აჯანყება რამდენიმეჯერ გადაიდო სხვადასხვა მიზეზების გამო. ეს ხალხში საშინელ საყვედურს და უკმაყოფილებას იწვევდა. ხალხი მოითხოვდა ბრძოლას.

ეს არ იყო რომელიმე კლასის, წოდების ან კასტის აჯანყება, არამედ მთელი ხალხი გაერთიანებული იყო ერთი აზრით და სურვილით.

ვინც ნახა წინასწარი მუშაობა, ვინც ბედნიერი გახდა აჯანყების და მის შემდეგ დღეებში თავისი თვალით ენახა და ყურით მოესმინა, თუ რა ხდებოდა საქართველოში, ის სამუდამოდ დარწმუნდა, რომ საქართველოს ისტორია, აღსავსე მამულიშვილთა თავგანწირვით და გმირობით, ლეგენდა არ ყოფილა.

აჯანყებამ ნათლად დაგვანახა ქართველი ხალხის ღირსება. ტექნიკურად სუსტი და მოუწყობელი აჯანყება დამარცხდა. ბრძოლა დაიწყო და დასრულდა უპანიკოთ. ყველას თავისი ადგილი დხ მოვალეობა ჰქონდა მიჩნეული.

აჯანყების წინა დღეებში გადაწყდა ცენტრების დატოვება და პროვინციების დაპყრობით მათი გარშემორტყმა. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქმნა იარაღის უქონლობის გამო.

ნაშუადამევს 28 აგვისტოს ხალხი შეუდგა მტრის განიარაღებას. დილით ცოტა იარაღი ხალხს უკვე ხელთ ჰქონდა. გაჩაღდა სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა. მტერი შედრკა, პირველი შეტაკებები მათი გაქცევით და პანიკით იწყება. მაგრამ ბრძოლის ვითარებაში აშკარად სჩანს, რომ აჯანყებულებს იარაღი არ გააჩნიათ. მტერი კი ძლიერი, საუცხოოდ შეიარაღებული ჯარით და სახელმწიფო აპარატით მაგარია. მიუხედავად ამისა ბრძოლები 7—10 დღე გრძელდება...

30 აჯანყებულს თოფი და 10 15 ვაზნა გააჩნია, 200 და მეტი უიარაღონი იქვე მასთან არიან ბრძოლის დროს, არ შორდებიან, უცდიან შემთხვევას იარაღის ხელში ჩასაგდებად. ქალებს და მოხუცებს სურსათი მოაქვთ, ყველა მუშაობს, დინჯად და შეგნებულად. წინ მივიწევთ სიხაოულით. დაეცა პირველი მსხვერპლი. მტერს ძალები ემატება, გადმოდიან კონტრ-იერიშზე. არტილერია საშინლად გვიშენს, ყოველი მეათე ჯარისკაცი ტყვიაფრქვეველით გვესვრის.

გვაიძულეს უკან დავიხიოთ, შევჩერდით ახალ პოზიციებზე. მსურს რაზმელები გავამხნეო, ვხედავ ეს საჭირო არ არის. არავითარ პანიკას ადგილი არ აქვს, ყველა იშვიათის სიმშვიდით ასრულებს ბრძანებას. ეს უფრო მაღელვებს, მინდა თვითეულად ჩავკოცნო ყოველი რაზმელი.

საამაყო სურათია, მარადის დაუვიწყარი.

შევხვდი სხვა რაზმებს, იგივე სურათია.

გამიწვიეს საველე შტაბში. არა გვაქვს იარაღი, მოწყვეტილი ვართ ტფილისს და საერთოთ აღმოსავლეთ საქართველოს. ვთათბირობთ, ვეძებთ გამოსავალს. უცდით ცნობებს. არაფერი ვიცით, ქალაქებში თურმე ათასობით ხვრეტენ პოლიტიკურ ტუსაღებს.

ჩვენც გვყავს ტყვეები. მათ ხელს არავინ ახლებს. მათი გასამართლება უნდა მოხდეს გამარჯვების შემდეგ. ასეთია ბრძანება ხელმძღვანელებისა, რაც ბოლომდის დაცული იქმნა...

უბრუნდებით თავიანთ ნაწილებს. ვაზნები სრულებით გამოგველია. მდგომარეობა აუტანელია.

მტერი ერკვევა ჩვენ სისუსტეში და მეტის ენერგიით გვებრძვის. მეშვიდე დღეა, გადაწყდა ბრძოლის შეწყვეტა. გამოეცხადა ხალხს ამის შესახებ. ვისაც მოეხერხება, იარაღს მალავს და სახლებში ბრუნდება. ვისაც არა, ჯგუფ-ჯგუფად მთა-ტყეს ეხიზნება. ზოგიერთი რაზმები ოსმალეთის საზღვრისკენ მიილტვის. საზღვრები მოჭრილია. რაზმები ორ ცეცხლს შუა არიან მომწყვდეულნი. უიარაღო მშიერ-ტიტვლები, საშინელ გაჭირვებას განიცდიან.

მოახწია ცნობებმა ბარიდან, საშინელმა ცნობებმა. დახვრეტილია ათასობით ხალხი: პოლიტიკური მოღვაწეები, მხედრობა, ქალები, სტუდენტობა, მუშები, გლეხები. დახვრეტილია ტუსაღები, რომელთაც აჯანყებაში უშუალოთ მონაწილეობა არ მიუღიათ.

მთელი საქართველო ძაძებში გახვეულა. ქართველი დედები შვილებს დასტირიან, ცოლები ქმრებსა. არ დარჩა ოჯახი უმსხვერპლოთ. გლოვამ მოიცვა მთელი საქართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირველი და იშვიათი სანახავია ეს უდიდესი გლოვა და მწუხარება. დამარცხებამ და დაღვრილმა სისხლმა ხალხი ვერ გასტეხა, არც ერთი საყვედური არ ისმის მოთქმა-ტირილში აჯანყების ხელმძღვანელთა მიმართ. პირიქით, თუ რომელიმე მათგანი ცოცხალი გადარჩა, ხალხი ხელს უწყობს, ჩუმად ეხმარება, ჰკვებავს, ბინას აძლევს, გზას ასწავლის, ემსახურება...

აჯანყების ორი თვის შემდეგ საქართველო დავტოვე. დავტოვე, მაგრამ ჩემი სული და არსება იქ დარჩა, საყვარელ ხალხთან, გმირ ხალხთან.

მწამს, რომ აგვისტოს აჯანყება უნაყოფოდ არ ჩაივლის. ეს დასაწყისია გადამწყვეტი დიდი ბრძოლისა. აგვისტოს აჯანყებამ დაანახვა მტერსა და მოყვარეს ქართველი ერის სულისკვეთება და სურვილი. დაანახვა მთელ კაცობრიობას, რომ შეუძლია ბრძოლა და მსხვერპლის გაღება. დაარწმუნა ყველანი, რომ არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს აიძულოს ქართველი, ხელი აიღოს განთავისუფლებაზე!

ათასობით დახოცილი საუკეთესო ქართველთა საფლავები და ის მიზანი, რომელსაც მათ თავი შესწირეს, გახდა ქართველი ხალხისათვის ახალ რელიგიად. ამ რელიგიის დიდ სახარებას დამოუკიდებელი საქართველო ჰქვია. იქ ჩაწერილია ყოველი წამებული ქართველის სახელი და სამაგალითო სიცოცხლე—სიკვდილი.

აგვისტოს აჯანყება უდიდესი, უძლიერესი და ულამაზესი აქტია საქართველოს ახალ ისტორიაში.

იესე კეჭაყმაძე.

1924 წელი

აჯანყების გეგმა იყო შემდეგი:

ტფილისის ხელში ჩაგდება, სადაც დაგროვილი იყო წითელი არმიის მთელი ძალა, ძნელი საქმე იქნებოდა. მაგრამ ქართველობამ გულადობითა და უსათუოდ გამარჯვების სურვილით გატაცებულმა, გადასწყვიტა ტფილისის აღება პროვინციებში გამარჯვების შემდეგ.

აჯანყებულნი უნდა მისდგომოდენ ტფილისს სამი მხრიდან: კოჯორიდან მოდიოდა ქ. ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით. საწინააღმდეგო მხარედან უნდა გამოვსულიყავი მე და ქ. ჩოლოყაშვილთან შეერთების შემდეგ ტფილისზე მივდიოდით. რაც შეეხება მესამე მიმართულებას, იქ მეთაურობს მ. ლაშქარაშვილი.

ყველაზე ძნელი ამოცანა იყო ჩემი—უნდა ამეღო ტფილისიდან 25 ვერსის მანძილზე ვაზიანის პოლიგონი, სადაც იდგა წითელი ჯარი 98 ზარბაზანით. ასეთი გეგმა შემდგარი და მიღებული იყო—წამებულ ვალიკო ჯუღელის დაჭერის შემდეგ. მე კოტე ანდრონიკაშვილს გადავეცი სხვა გეგმა ვიცოდი რა 1917 წ. პეტერბურგის ამბების შემდეგ, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს ზარბაზნების ცეცხლი ქალაქის ქუჩაზე, მე ვსთხოვე კოტეს აჯანყების დაწყება ტფილისში.

უნდა გაგვეთვალისწინებია ტფილისის მორალური და პოლიტიკური მნიშვნელობა—საქართველო უპყრია მას, ვისაც ტფილისი აქვს ხელში. სწორედ ამისათვის აუცილებელი იყო პირველი დარტყმა მომხდარიყო ტფილისში, კომუნისტურ ძალთა სიმაგრეზე. შემდეგ ტფილისის აღებისა, წითელი არმია მოკლებული ცენტრალურ მართველობას, დევნილი მთელ საქართველოში, ხალხის სიძულვილით გარშემორტყმული, უნდა დანებებოდა გამარჯვებულებს...

მიღებულ იქნა მეორე გეგმა და ჩვენი ძალები, დაქსაქსულნი მთელ მხარეში, ვერ შეიკრიბენ თავის დროზე, ჩვენ დავმარცხდით ძალიან უსწორო ბრძოლაში.

საქმე დიდად დააბრკოლა ჭიათურის დასწრებულმა გამოსვლამ—დანიშნულ დროზე 24 საათით ადრე. ამან საშვალება მისცა საბჭოთა უფროსებს დროზე მიეღოთ ენერგიული ზომები აჯანყების ჩასაქრობად.

მთელ საქართველოში გამოცხადდა სამხედრო წესები...

უმთავრესი ჩემი დავალება, ე. ი. ვაზიანში მყოფ წითლების განიარაღება, ვერ მოვიყვანე სისრულეში. ჩემი შტაბი იმყოფებოდა პატარძეულში. ვაზიანის კომისარი მოვიდა ჩემთან და მთხოვა გამოვსულიყავი დანიშნულ დროის 12 საათით უფრო ადრე. დავთანხმდი და საღამოს 5 საათზედ პატარძეულში გამოცხადდა «დამკომის» ძალაუფლება. დატუსაღებულნი იყვენ კომუნისტები—ადგილი არ ჰქონდა არც ერთ უსამართლობას მათ მიმართ. გომბორი, უჯარმა, ხაშმი, სართაჭალა, საგარეჯო, რომლის დიდი იმედი მე მქონდა, არ გამოსულან...

თუ მხედველობაში მივიღებთ ვაზიანის ტოპოგრაფიას და მტრის ძალების დისლოკაციას, იმ ღამეს მე ვყოყმანობდი იმ ბრძოლის პერსპექტივის გათვალისწინებით, რომლის შედეგი იქნებოდა ტყუილად უბრალოდ ჩემი ხალხის სამსხვერპლოზე მიტანა. მე ვიმოქმედე იმ ღამეს როგორც პატიოსანმა ჯარის კაცმა—როგორც მხედარმა.

ჩემს განკარგულებაში მყავდა ასამდის გლეხი, ყოჩაღნი და ამაყნი, რომელთა საშვალებით შესაძლებელია სხვა ვინმე შესძლებდა სასწაულის მოხდენას. მაგრამ სამხედრო საქმეში სასწაული მე არ მწამს. იმ ღამეს ჩემი ნერვები ისევე მაგარნი იყვნენ, როგორც ბათომში, სადახლოსთან, დიდ-ლილოსთან, სადაც მტრის ტყვიით დაჭრილი მაინც განვაგრძობდი ჩემ ადგილას ყოფნას და ბრძოლას, მაგრამ მე პარტიზანი არ ვარ და არც მინდა გავხდე: ერთია, საქმე გქონდეს სოფლის მილიციასთან, დაუფრთხო სიზმარი სოფლის კომისარს, და მეორეა გამარჯვება რეგულიარულ ჯარზე. ჩვენ გავიმარჯვებდით იმ შემთხვევაში, თუ მთელი გარე-კახეთი აღსდგებოდა და უეცრად, მოულოდნელად დავარტყამდით მტერს.

ჩუმი ხვნეშა ჩვენი ერის ვერ გამოეპარებოდა ჩეკის აგენტებს. ისინი გრძნობდნენ საშიშროებას, მაგრამ ხალხის ჯავრის აღმოხეთქის დღის და საათის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აგრეთვე ჩვენი ძალების უცოდინარობა მათ აღელვებდა და აიძულებდა ფრთხილად ყოფილიყვენ.

წამებულ ვალიკოს დაჭერა და ჭიათურის გამოსვლამ დაუბრუნა სიმშვიდე მესვეურთ და მისცა საშვალება მოქმედებისა უკვე გარკვეულ პირობებში. მაშინვე გამოცხადდა სამხედრო წესები—ტანკები და ჯავშნოსანი ავტომობილები გამოჩდენ ტფილისის ქუჩებზე, ვაზიანში ბატარეებიც მოეწყო საომარ მოქმედებისთვის...

ჩვენ ვუახლოვდებოდით მტრის ბანაკს, როდესაც ჩვენი სვლა შენიშნა მტერმა პროყექტორების საშუალებით. პოლიგონის ათი კილომეტრის მანძილზე ავუტეხეთ სროლა წინ გამოგზავნილ, ვაზიანსა და სართიჭალის შუა, რუს წითელ-არმიელებს. ჩვენი მდგომარეობა საშინელი იყო: წინ და უკან გაშლილი მინდორი, საგარეჯოში იდგა ქართული ცხენოსანი პოლკი, რომელიც ჩემი კავშირის ცნობით გამოვიდოდა ჩვენს წინააამდეგ, მიიღებდა თუ არა ბრძანებას დაეწყო შეტევა, წინ 98 ზარბაზანი, სადაც რუსნი და სომეხნი წარმოადგენდენ აქტიურ ელემენტს, რადგანაც ქართველი არტილერიის უფროსები დატუსაღებულნი იყვნენ. ჩვენი გამოსვლის უმალვე ტყვიაწამალი გაგვითავდებოდა. ამ პირობებში იძულებული ვიყავი ჩემიანებისათვის უკანდახევა მებრძანებია და ღამის სიბნელის გამოყენებით ტყეში შევიხიზნეთ.

ამავე მიზეზების გამო ე. ი. ამგვარათვე შექმნილი მდგომარეობის გამო, ქ. ჩოლოყაშვილი, მას შემდეგ რაც აიღო მანგლისი, იძულებული გახდა დაეხია კოჯორთან...

ტფილისის აღება არ გამართლდა და ამით პარტიზანების მოქმედებანი ხდებოდენ სეპარატულად, ხშირად ძალიან ლამაზი დარტყმით, მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო პროვინციის გამარჯვება, სანამ ტფილისი მტრის ხელშია, ამ გამარჯვებას დამარცხება ელის საბოლოოდ...

მთელი ერის საერთო აჯანყება ჩაქრობილი იქნა საშინელ სისასტიკით. საქართველო განიბანა თავისივე სისხლში. შურს იძიებდენ იმ ერზე, რომელმაც გაბედა და შეეცადა მონობის უღელის გადაგდება და რომელსაც სწამდა, რომ დადგა ჟამი დამოუკიდებლობის აღდგენისა.

ირ. ცაგურია.

ჭიათურის რაიონში

ოთხშაფათს 27 აგვისტოს შევიკრიბენით საათის ოთხზე № ის ბინაზე ჭიათურაში გ. წერეთლის თაოსნობით ინტერ-პარტიული სამხედრო პირები. გ. წერეთელმა გადმოგვცა შემდეგი: დადგა დრო, რომ უნდა გამოვიდეთ, მთელ საქართველოში იწყება ამღლამ 2 საათზე აჯანყება, სარდლად არის დანიშნული დამკომისაგან პოლ. ს. წერეთელი. თანაც გადმოგვცა სია იმ ჯგუფების და აფიცრების სახელი და გვარი, ვინც უნდა მოსულიყვენ დანიშნულ ადგილზე.

როცა შეეკითხე გ. წერეთელს, ხომ სწორად არის დანიშნული დრო აჯანყების? პასუხი ასეთი იყო: შეიძლება რომელიმე მაზრამ დაგვიანოს, მაგრამ დრო და საათი სწორია, ე. ი. 27 აგვისტო ღამის ორი საათი.

მეორე შეკითხვა: ტფილისი რა პირობებშია ვ. ჯუღელის დაჭერის შემდეგ, თუ შეიცვალა რამე? გ. წერეთელმა განმარტა, რომ ტფილისი უცდის პროვინციებს.

განაწილდა ჭიათურის აღება: 1 პუნქტი არის რკ. გზის სადგური; დილის 4 საათზე შორაპნიდან სამგზ. მატარებელი რომ მოვა, ორთქლმავალი იწყებს ყვირილს და ეს არის ნიშანი გამოსვლის. მე-2 პუნქტი იყო სამაზრო მილიცია, სამაზრო ჩეკა და სამრეწველო მილიცია, მთელი რიცხვი მილიციის იყო 68 კაცი. მე 3 პუნქტი არის ჩონი, სარაიონო მილიცია ზედა ხიდთან და ვაგონების მუშები, რიცხვით დაახლოვებით 50 კაცი.

მე-2 რაიონი შემხვდა მე. მე-3 რაიონი კ. ჩ—ძეს; ამ დროს ჩ—ძე კრებაზე არ იყო და როდესაც ვიკითხე, თუ ვინ აგვებს პასუხს ჩ—ისთვის მეთქი—რომ ის იქნება დილით თავის ადგილზე—გ. წერეთელმა მიიღო თავის თავზე. 1 პუნქტზე უნდა ყოფილიყვენ, პოლ. ს. წ—ი, გ. წ—ი, შ. რ—ი და პოლ. ე. წ—ი. ესენი გააცნობდენ საზოგადოებას, თუ რა მოხდა, როცა ბრძოლა დაიწყებოდა. მე დავტოვე საათის 7-ზე ჭიათურა, გავედი რგანისკენ, მივედი რგანის ეკლესიასთან. ეს იყო ჩემი თავშესაკრები ადგილი. ჩემთან უნდა მოსულიყვენ შემდეგი თემები: ქვაციხე, ხრეითი, კაცხი, რგანი, საქველთო ქუბანი და წირქვანი. დიდი წვიმის გამო—ადიდებულმა წყლებმა ხელი შეუშალა წირქვალის თემის გამოცხადებას ადგილზე. აგრეთვე არ მოვიდენ ის ოფიცრები, რომლებიც უნდა მოსულიყვენ გ. წერეთლის თქმით. ჩემთან გამოცხადდა 25 კაცი შეიარაღებული, 45 უიარაღო. ჩვენ შევედით ეკლესიის შენობაში, ვინაიდან ცუდი დარი იყო; რაზმი გავანაწილე სამ ჯგუფად. მოკლეთ გავაკანი ჩვენი ამოცანა, თუ რომელი ადგილები უნდა აგვეღო, აგრეთვე გავაკანი, თუ მტერს რამდენი ყავდა შეიარაღებული ძალა ამ პუნქტებზე. ამასთან გადავეცი მტრის პაროლი «შტიკი», ჩვენი პაროლი იყო «ჭაღარა», რომელიც გულისხმობდა ნ. ჟორდანიას.

გადავედი შეტევაზე-პირველად ჩეკაზე, ვინაიდგან იქ იჯდენ 22 პოლიტ. ტუსაღები; საშიში იყო, რომ ისინი არ დაეხვრიტათ, ამიტომ მალე მინდოდა ისინი გამენთავისუფლებია. პირველი შეტევის დროს ავიღე ნაწილი პოსტების და ისევ უკან წამართვეს. ატყდა ყოველი მხრიდან მტრის მიერ სროლა, ჩ—ის რაიონიდან გამოქცეული ჩეკისტები ემატებოდენ სამაზრო მილიციას, ამიტომ დროებით შევაჩერე ჩეკაზე შეტევა და გადავედი სამაზრო მილიციაზე, რომ ამით გზა მომეჭრა გაქცევიდან გამოქცეული ჩეკისტებისათვის. გადავედი კლდის თავზე ჯაფარიძის ეზოს ქვემო—გულის ხოხვით, დავიკავე ამოსასვლელი გზა, დავტოვე ერთი ჩემი რაზმელი ამ საგუშაგოზე და მე ორი კაცით გადავედი პირდაპირ მილიციის ეზოში სროლით. უკვე გათენებული იყო, როცა მილიციის ეზოში ვიყავით, გადავყარე დინამიტები; ამ უკანასკნელმა მოახდინა საშინელი პანიკა მილიციის შენობაში, სადაც თავმოყრილი იყვენ მი-

ლიციონერები. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი რჩევით, რომ დაგვნებდითქვა, გამოვიდენ ხელ აწეულები. ამათ შეესიენ ჩვენი უიარაღო რაზმელები, აყარეს იარაღები. საწყობში მხოლოთ თოფები აღმოჩნდა, ტყვია კი სულ არ იყო.

შეშინებული მილიციის უფროსები თვითონ შევიდენ სატუსაღოში და ამით თავის გადარჩენას ფიქრობდენ. მე შევედი ხაზინაში, იქ დამხვდა მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ტარასი მგალობლიშვილი და ჩავიბარე ხაზინის გასაღებები, ხელი მოვაწერე, რომ მივიღე 68 ათასი ჩერვონეცი. ეზოში მგალობლიშვილს ვუთხარი: აი ვინ არის შენს წინააღმდეგ მოსული თქვა. მისი პასუხი იყო: ჩვენ გვეგონა, თუ ყველა მუშები მადლიერნი იყვენ, მაგრამ დღეს კი ვხედავთ, რომ წუხელის რომ მაღაროში წერაქვით მუშა შავ ქვას თხრიდა, დღეს თოფით ხელში ჩვენს წინაამდეგ გამოსულა. ჩეკის თავმჯდომარე ლომიძე წავიყვანე ჩეკაზე და ვუთხარი შემდეგი: თუ იქ რომელიმე პოლ. ტუსაღი არის მოკლული, იცოდეთ, რომ თქვენ დაგხოცავთ, და თანაც დავსძინე, რომ ჩვენ შეტევაზე მივდივართ და რომ იქ სისხლი არ დაიღვაროს, სჯობია ურჩიო მილიციას და ჩეკისტებს, რომ დაგვნებდენ. ეს მართლაც ასე მოხდა და ჩეკის აღებისათვის სროლა არ დაგვჭირებია.

გავანთავისუფლე 22 ტუსაღი და იქვე ჩეკაში შევრეკეთ ჩვენ მიერ შეპყრობილი ჩეკისტები.

ამის შემდეგ ავიღეთ სამრეწველო მილიცია, იქ დავატუსაღე მილიციის უფროსი ჯაბუკ მიბველიძე უფროსი მილიციონერი მიხ. ვაშაძე და ლექტრიონი ვაშაძე. ამით გათავდა ჩემი ამოცანა.

სროლის დროს არავინ არ დამჭრია, მტრის მხარეზე კი დაიჭრა ორი ჩეკისტი.

წავედით ბაზარზე, ხალხი გვილოცავს, გაუმარჯოს იძახიან. მივედით ზედა ხიდთან, სადაც გამაგრებული იყვენ კომუნისტები სარაიონო მილიციაში. ამის აღების დროს ჩ—ის რაზმი იღებდა მონაწილეობას და ამით გათავდა ჭიათურის აღება.

ჩ-ის რაზმში მოგვიკლეს ორი—ს. ნადირაძე—ძველი ვაგონის მუშა და ვანო ფხალაძე, ახალგაზდა. კომუნისტების მხრივ კი იყო რამდენიმე მკვდარი და დაჭრილი.

დილის 11 საათია. ჭიათურაში უკვე სიწყნარე იყო. ხალხი მხიარულებით შეყურებს ჩვენს რაზმელებს. შესდგა დროებით ხელმძღვანელი კომიტეტი, რომელმაც სწრაფად მიიღო ზომები, მოსული ხალხისთვის მიეცა მოქმედების ხაზი. იგი აგრეთვე აძლევდა განმარტებებს ხალხის შეკითხვებზე, თუ რა მოხდა, მოხდა აჯანყება მთელ საქართველოში და საქართველო თავისუფალია.

გაიგზავნა საჩხერეში ერთი რაზმი გრ. გ—ის მეთაურობით, საიდანაც მივიღეთ ცნობა რამდენიმე საათის შემდეგ, რომ საჩხერეში და მის თემებში ყველგან შესდგა დროებ. კომიტეტები. მეორე რაზმი 50 კაცით წავიდა სალიეთისაკენ და დაედევნა გაქცეულ კომუნისტებს. მესამე რაზმი წავიდა სოფ. ნავარძეთისაკენ 70 კაცით. მეოთხე რაზმი 50 კაცით სოფ. ჭილოკანისაკენ.

ამ დროს მე მივიღე ცნობა სარდალ პოლ. ს. წერეთლისაგან ავსულიყავი ჭიათურაში.

ჭიათურას დიდძალი ხალხი მოაწყდა. თემებიდან გვატყობინებენ, რომ ძალაუფლება ჩვენ ხელშია და რა უყოთ კომუნისტებს და როგორ მოვიქცეთ შემდეგშიო. ჭიათურაში დამალულ კომუნისტებს თვით ხალხი იჭერს. უპარტიო ახალგაზდა თერძმა ასათიანმა შეკერა იქვე სამფეროვანი დროშა, დროშა აფრიალდა წარწერით «გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს». დროშასთან ჩამოიარა სანდრო წერეთელმა და ქუდი მოიხადა. შემდეგში ასათიანი და წერეთელი ორივე დახვრიტეს, პირველი დროშის შეკერვისათვის და მეორე ქუდის მოხდისათვის.

იმ ღამეს მე ვიყავი 10 რაზმელით რკინის გზის მიმართულებით დაზვერვაზე სოფელ სალიეთისკენ; ვნახე, რომ ჭიათურაზე მოსული იყო დიდძალი ჯარი—სამხედრო სკოლა (კურსანტები). დავბრუნდი უკან ჩემი 10 რაზმელით. ეს ცნობა გავატანე იონა ვაშაძეს შტაბში. მე კი ხუთი კაცით შევიარე ჩეკაში, სადაც იყვენ კომუნისტების მძევლები 32 კაცი. ჩემს დანახვაზე ისინი შეშინდენ, ვინაიდან იყო ღამის 12 საათი და იფიქრეს, რომ დასახვრეტად მოვიდაო. გამოვიდა ტარასი მგალობლიშვილი და მითხრა, ამელამ ნუ დაგვხვრეტავთ და ხვალ ჩვენ გამოვალთ საჯაროო მიტინგზე და განვაცხადებთ, რომ ჩვენ ხალხს არ უნდებვართ და ვიტყვით ჩვენს დანაშაულსაც. ამის შემდეგ შევადგინე პატარა დეკლარაცია, სადაც ისინი უარყოფდენ თავის წარსულს და ზიზღით იხსენიებდენ საქართველოს დაპყრობას რუსეთის მიერ, ჩავწერე შიგ აგრეთვე მათი პარტიული წიგნაკის ნუმერი, მოვაწერინე ხელი ყველას და მივაბარე ეს ერთერთ საიმედო რაზმელს.

რაც შეეხება ჩემ მიერ შეგროვილ ფულს, რომელიც იყო დაწესებულებებში—ხაზინაში, სამაზრო მილიციაში, ჩეკაში და სხვაგან—ყველა ეს ანგარიშები გადავეცი ახალ შემდგარ გამანთავისუფლებელ კომიტეტს ხელწერილით, რომელიც ჩემთან ინახება.

29 აგვისტოს პარასკევს დილის 6 საათზე ჭიათურას შემოუტიეს სამი მხრიდან ტყვიისმფრქვეველებით, ჰაეროპლანებმაც ყუმბარები გადმოყარეს. მტრებმა ჩაიგდეს სოფ. ნავარძეთში ე. წ—ის რაზმი მთლიანად ტყვედ. ჩვენ იძულებული გავხდით დიდი ბრძოლის შემდეგ დაგვეხია უკან ჭიათურაზე. ჭიათურაში მივეცით უკანასკნელი ბრძოლა და მივეცით საშვალება შტაბს. გამოეყვანათ მძევლად გადარჩეული კომუნისტები და წასულიყვენ საჩხერესაკენ.

ვერ აწერს ადამიანი ამ მძევლების მდგომარეობას, რომლებიც ტირილით იხვეწებოდენ, ნუ დამხვრეტავთო.

ნაშუადღევის 5 საათზე დავტოვეთ ჭიათურა.

თედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯანყების დღეები ტფილისში

ივლისის, სწორედ არ მახსოვს, რა რიცხვი იყო, ერთ საღამოს ვერის ხიდით ვბრუნდებოდი ხარფუხიდან, სადაც ერთ არალეგალურად მყოფ მეგობრის სანახავად ვიყავი. ტფილისზე დაწოლილი იყო არაჩვეულებრივი პაპანაქება სიცხე. საღამოს ათი საათი სრულდებოდა. ქუჩები სავსე იყო თეთრში გამოწყობილ ხალხით. ყველას სახეზე სჩანდა სუსტად დაფარული ნერვიულობა, რომელიც არ იყო გამოწვეული მარტო აუტანელი სიცხით. კარგი ხანია რაც საზოგადოება შეპყრობილია აჯანყების მოლოდინის პსიქოზით. იშვიათია, ვინც არა იცის რა ამის შესახებ. იშვიათად თუ გაიგონებთ ლაპარაკს მისი საჭიროების თუ მიზანშეწონილობის შესახებ.

ყველას სურს გაიგოს, თუ როდის იფეთქებს აჯანყება. სიძულვილი დამპყრობილების და ბრძოლის სურვილი ისეთია, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი, ეროვნული, პოლიტიკურად აქტიური, რომელიც ამზადებს აჯანყებას და მისი ხელის შემწყობი და მიმყოლი ხალხი, გამსჭვალულია გამარჯვების მისტიკური რწმენით. ნაკლებად გაიგონებთ მისი მოწყობის საწინააღმდეგო არგუმენტს. ერთი მეორის საწინააღმდეგო ხმები ტრიალებს საზოგადოებაში. ყველამ იცის, რომ მთელ რიგ პირთა «ჩავარდნის» შემდეგ, ეს ვალიკო ჯუღელია, რომ აჯანყების მოწყობას ხელმძღვანელობს. გამოსვლებსაც ვუახლოვდებით და ამ ცნობებით ვბრუნდები ჩემი მეგობრისაგან, ჩემსავით სამშვიდობოზე მყოფ ამხანაგების სანახავად,—რომ ამ დროს გაქანებულ ტრამვაიზე, კირკის ქუჩაზე,—შემოხტა ერთი ქართველი კომუნისტი და ჩემს გვერდით მჯდომ ჩემთვის უცნობ ქართველ ქალიშვილს რუსულად უთხრა, ისე რომ ყველამ გაიგონა: მოგუ ვას ობრადოვატ, ვაშეგო ჯუგელი ტოლკო ჩტო არესტოვალი. სჩანდა, რომ ამ ცნობამ ვაგონში ყველაზე იმოქმედა. ჩემთვის ცხადი იყო, რომ დაისმებოდა საკითხი აჯანყების სრულიად მოხსნის და გადადების.

და ასედაც მოხდა. აჯანყების მომწყობი მანქანა პირთა შეცვლის შემდეგ განაგრძობდა მუშაობას. დაწესებულება, სადაც მე ვმუშაობდი, მაძლევდა საშუალებას თვალყური მედევნებია აჯანყების წინა დღეებში როგორც ხელისუფლების ისე საზოგადოებრივ მოვლენებისათვის. რამდენად იყო მართველი ხელისუფლება აჯანყების მოწყობის კურსში? ფიქრობდა ჩეკა მის ჩაქრობას, მარტო თავისი ძალებით თუ სტრატეგიული ღონისძიებანიც ჰქონდა მიღებული?..

იმ ხანებში დაჭერებს არ ჰქონდა ისეთი მასიური ხასიათი, როგორც წინ და შემდეგ ხშირად ყოფილა.

ჩეკის მუშაობიდან სჩანდა, რომ ის ეძებდა აჯანყების ორგანიზაციულ ქსელის ხელში ჩაგდებას... მახსოვს, რუსთაველზე, კომ. პარ. ცენ. კომ. შენობის წინ იმ დღეებში ყოველთვის დაინახავდით «ყოფილებს». ეს ხალხი ყველაზე დაშინებული იყო აჯანყების მოლოდინით და უთუოთ კომუნისტებზე უფრო დაინტერესებული აჯანყების დამარცხებაში. მუშაობა გამოსვლების მოწყობისათვის მეტი ინტენსიობით გრძელდებოდა. მატულობდენ ორგანიზაციების კადრები.

ერთხელ დაბრუნებისას ჩემ ბინაზე დამხვდა ერთი მეგობარი, რომელსაც კარგი ხნის წინ დავშორდი საბჭოთა ხელისუფლების მეტათ აქტიურ «მიღებისათვის».

მას, იმ ხანებში აგარაკზე მყოფს, გაეგო აჯანყების მოახლოვების შესახებ; მასაც ერწმუნა მისი გამარჯვება და ჩემის დახმარებით ფიქრობდა, მის ძველ მეგობრებთან კავშირის აღდგენას. «რაშია საქმე?! მეც ხომ ერთი ჯარის კაცი ვარ. რატომ არ მეძახიან ამხანაგები?!» შემომჩივლა. თუმცა არავითარ საშიშროებას მისგან არ მოველოდი, მაგრამ ეგრე უპასუხე, რომ მეც იმდენი ვიცი როგორც შენ და დარწმუნებული ვარ, თუ საჭირო ვიქნებით, დაგვიძახებენ-მეთქი. უკან აგარაკზე ის არ დაბრუნებულა, აჯანყების დღეები ტფილისში გაატარა მეტად დაშინებულმა,—და შემდეგ აჯანყების დამარცხებისა, რომ შევხვდი, უკვე სხვა სახე ჰქონდა.

ვალიკო ჯუღელის ტრაღიკული ბედი და მისი დაჭერის საბედისწერო როლი აჯანყების საქმეში ცნობილია. ამასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი შეხვედრა. სამსახურიდან ნებართვით გამოვედი შუადღისას. უნდა მენახა ერთი მეგობარი ბროსეს ქუჩაზე და იქით მივდიოდი საპიორით, რომ გაოცებით დავინახე იქედან ნელი ნაბიჯით მომავალი ვანო ღლონტი, დახვრეტილი აჯანყების დღეებში ისე როგორც მისი ძმა. მე ის მეგულებოდა დატუსაღებული და ამგვარ პირობებში, იმ დროს მისი განთავისუფლება მას მეტად საეჭვოდ ხდიდა. მოდიოდა აუჩქარებელი ნაბიჯით, გამხდარი და ფერწასული, და შორიდანვე შევამჩნიე, რომ მიცქერდა უცნაურულ გამოხედვით. ათასმა აზრმა გამიარა თავში, მაგრამ რადგან მასთან არასდროს მქონია პოლიტიკური ურთიერთობა, წავედი მისკენ, როგორც ჩემი გარგი ნაცნობისკენ. მისი გამოხედვა მაკვირვებდა, არავითარ ნიშანს არ მაძლევდა. ოთხი ნაბიჯით ვიყავი დაშორებული, რომ რაღაც აზრმა გამიელვა თავში და მაშინვე მეორე მხარეზე გადავედი. ჩემი განზე გადადგომისთანავე მის თვალებში წავიკითხე კმაყოფილება და მივხვდი მაშინვე, რომ ავცდი დიდ ხიფათს. შემდეგ გავიგე, რომ ის, თურმე, მაშინ უშედეგოდ ეძებდა აჯანყების მოწყობის ხელმძღვანელებს ვითომდა ვალიკო ჯუღელის დავალებით, რომ აჯანყება სრულებით მოეხსნათ, რადგან ნებით თუ უნებლიეთ ის გაცემული იყო. გარს შემორტყმულს ჩეკის ფარული აგენტებით, დარწმუნებულს, რომ მისი დავალება მიზანს ვერ მიაღწევდა, აჯანყება იფეთქებდა და ის განწირული იყო და თვითონ პირადათ პირველი მსხვერპლთაგანი,—აი სწორეთ ამ პირობებში შევხვდი მე ვანო ღლონტს...

რაც უფრო ვუახლოვდებოდით აჯანყებას, იმდენად ბრძოლის ენტუზიაზმი და გამარჯვების იმედი მატულობდა.

აგვისტოს იმ ტრაღიკულ დღეებში ტფილისში

ივლისის მწვავე სიცხეები იდგა. ჭიათურის ნაადრევი გბმოსვლის ამბავი შეთქმულებმა გაიგეს კომუნისტებისაგან და ისიც დაგვიანებით, ხუთშაბათს საღამოს. ეს ცნობა იქედან პირველად მიიღო ორჯონიკიძემ, საქართველოს ამ უდიდესმა მოღალატემ. იმ ხანებში მისი საქართველოში ყოფნა იყო გადამწყვეტი საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ის და სომეხი მიასნიკიანი, აი ორი პირი, რომლებმაც, მამულიშვილთა სისხლის მორევში ჩაახჩვეს აგვისტოს აჯანყება. ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე, ტფილისი დაემგვანა ალყაშემორტყმულ ქალაქს. ყველა ჩქარობს იშოვოს უხიფათო თავშესაფარი. მებრძოლთა რიგები დარღვეულია გეგმის აშლის გამო. ქუჩები კიდევ სავსეა ხალხით, მაგრამ გაჩერება შეუძლებელი და საშიშია. ავტომობილები შეიარაღებული ჩეკისტებით, კომუნისტებით და რუსის ჯარის კაცებით მიქრიან სხვადასხვა მიმართულებით. გაამაგრეს მთავრობის დაწესებულებათა შენობები, ფოსტა და სადგური.

ღამის ათ საათზე გამოსვლა სახიფათოა. სამხედრო პირებისა და კომუნისტებისაგან შემდგარი პატრულები დაძრწიან ქუჩებში. დაიწყო საყოველთაო ჩხრეკა და დაჭერები. იმ და შემდეგ ღამეებს იშვიათად ათენებდენ თავიანთ სახლში, ვისაც კი შეეძლო. ჩხრეკდენ ყველგან, სადაც კი ქართველობა ბინადრობდა. ეს სურათი მიაგავდა ნამდვილ ნადირობას ქართველობაზე. დახვრეტები დაიწყო იმავე ღამეს. ის ღამე თეთრად გავატარე სხვის ბინაზე ოლღას ქუჩაზე, ერთ მეგობართან რომელიც იქ იმალებოდა. ორთავე, სინათლე ჩაქრობილ ოთახიდან, იატაკზე დაწოლილი, ვხედავდით, თუ როგორ მიყავდათ ჩეკაში დაჭერილები, მათ შორის ჩვენი ნაცნობები, და თორმეტ საათიდან როგორ მიქროდენ ვაკესაკენ განწირულთა სავსე ავტომობილები. ვხედავდით იმავე ავტომობილებს, ცარიელი რომ ბრუნდებოდნენ.

პარასკევს დილით ჩვენ დავიშალენით. ჩემ მეგობარმა დასტოვა ტფილისი,—მე კი უნდა წავსულიყავი სამსახურში. გამოსვლისთანავე გადავეყარე კომუნისტებისაგან შემდგან მრავალრიცხოვან რაზმს, რომელთაც დაჭერილები მიყავდათ, მათ შორის ერთი მამა და შვილი ვიცანი ერთად მდგარი; რაზმს მეთათაურობდა სახალხო კომისარი მიქაძე, რომელმაც დამიჭირა როგორც საეჭვო, თუმცა წინღამით ავიღე განსაკუთრებული მოწმობა ამ ამბების გამო, ამან ვერ მიშველა და მხოლოდ იქ, მათ რიცხვში მყოფ კარგ ნაცნობ კომუნისტს უნდა ვუმადლოდე გადარჩენას, თუმცა იქ ჩვენი ნაცნობობა არ გამოგვიმჟღავნებია. ზემელის აფთიაქის წინ, პირდაპირ აზარიანცის სახლის კედელზე გაკრული იყო ჩეკის განცხადება და სია მძევალთა პირველ რიგის დახვრეტის, ამიერიდან ჩვენთვის ისტორიული სია,—რომელიც შეიცავდა საქართველოს საუკეთესო შვილებს! იმ სიაში იყვენ ჩემი მეგობრებიც. უთუოთ ჩემსავით, ქუჩაში და სამსახურში, ყველა მალავს იმ საშინელ გამანადგურებელ შთაბეჭდილებას, რომელიც იქონია მათ დახვრეტამ. იმ დღეს, პარასკევს, კიდევ იყო დიდი იმედიანობა. ამბობდენ, ბათომში გადმოსხეს უცხოელთა ჯარიო, ხან ეს ფრანგები იყვნენ, ხან კი იტალიელები. ნოე რამიშვილი საქართველოშია. ქუთაისი და მთელი დასავლეთი საქართველო აჯანყებულთა ხელშია; დაიჭირეს ყოვლად ავაზაკი საშა გეგეჭკორიო და სხ.

ტფილისში კი ჩეკა ღებულობდა წარმოუდგენელ ღონისძიებებს. დაჭერებს არ ჰქონდა სათვალავი. იჭერდენ დაწესებულებებში და რამდენიმე საათის შემდეგ ხვრეტდენ. ერთი ჩემი თანამოსამსახურე დაჭერის მეორე დღეს ვნახე განაჩენ მოყვანილთა მეორე სიაში. შაბათს ყველას შეეპარა ეჭვი გამარჯვების.

ავაზაკი საშა გეგეჭკორი შაბათს ღია ავტომობილით დაფრიალებდა ტფილისში, რომ ის კარგად დაენახა ხალხს და იქიდან წავიდა თავის ქალაქში ახალ სენაკში, სადაც მასიური დახვრეტებით და იშვიათი ვერაგობით თავისი, ამგვარ სურათის ჩვეული, ამხანაგებიც კი გააოცა.

ტფილისში კი ხვრეტდენ შეუჩერებლივ. დახვრეტებმა მიიღო ისეთი უსაზღვრო ხასიათი, რომ მორიგი კომუნისტებიც დააფრთხეს. თავიანთ ახლო პირებს ეუბნებოდენ: «თქვენ დასახვრეტი ხართ, თუ იცოდით, რომ ვერ გაიმარჯვებდით და აჯანყება მაინც მოაწყვეთო. რად ჰქენით ეს საშინელი საქმე, რად მიეცით ამ ვეშაპს ორჯონიკიძეს პირში ამოდენა უდანაშაულო ხალხიო».

შაბათს საღამოს ცხადი იყო ჩვენი დამარცხება, თუმცა კომუნისტები კიდევ დაშინებული იყვნენ, რადგან ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით მათ კიდევ ემუქრებოდა. ტფილისში იყო საყოველთაო, ფარული და აშკარა, ქვითინი. ყველას მგლოვიარე სახე ჰქონდა. რუსობა და სხვა ტომები კი არ მალავდენ თავიანთ სიხარულს.

დაიჭირეს დამოუკიდებლობის კომიტეტი. ცხადია, რომ წინაამდეგობა უმიზნოა. ჩეკა მაინც განაგრძობს ხვრეტას და თავის მკაცრ რეჟიმს. მხოლოდ დამოუკიდებლობის კომიტეტის მოწოდების შემდეგ იარაღის დაყრის შესახებ ნაწილობრივ შეჩერდა ხვრეტა. მოიხსნა განსაკუთრებული წესები. და იმ საღამოსვე ქუჩები აივსო ხალხით და მხოლოდ მაშინ გავიგეთ, დაახლოვებით ის უამრავი მსხვერპლი, რომელიც გაიღო აჯანყების დღეებში ქართველმა ერმა თავისი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის...

ბგგი.

შარლ მარტენი

მიმდინარე აგვისტოს 11-ს გარდაიცვალა თავის კოპწია ვილაში მალანუზე, ყენევის ახლოს, უხუცესი პასტორი (91 წ.) შარლ მარტენი, მამა ერთ უდიდეს ყენეველ ოჯახისა. მთელი ეს ოჯახი თვით შარლ მარტენით დიდი ხანია კეთილ განწყობილია საქართველოს საკითხისადმი და განსაკუთრებული სიმპატიით ეპყრობა მას. ვის არ გაუგონია მისი შვილის, ჩვენი ერთგული მეგობრის ჟან მარტენის სახელი, რომელიც არასოდეს შემთხვევას არ უშვებს, კალმით თუ სიტყვით დაეხმაროს მრავალ ტანჯულ ქართველ ერს და მისი განთავისუფლებისათვის ხმა აიმაღლოს? ღრმა მოხუცი მამა მარტენიც ცდილობდა ჩვენი ერისადმი სიმპატიის გამოჩენას და მის ერთნაირათ დამტკიცებას. ამისათვის არც ის უშვებდა შემთხვევას საქართველოს წარმომადგენლებს გასცნობოდა და თავის ოჯახში მიეპატიჟებია, როგორც ეს ჰქნა მაგ. განსვენებულ კ. ჩხეიძის (1924 წ.) და თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას (1925 წ.) მიმართ.

ჩვენმა მეგობარმა ჟან მარტენმა მიიღო სამძიმრის დეპეშა თავმჯდომარე ჟორდანიასაგან. თავისი მხრით საქართველოს წარმომადგენელმა ყენევაში ხ. შავიშვილმა გამოუცხადა მწუხარება გადაცვალებულის ოჯახობას, დაესწრო გასვენებას, რომელსაც ადგილი ქონდა 14 აგვისტოს და პატარა მაგრამ ლამაზი გვირგვინი დაადო ჩვენი დროშის ფერადზე წარწერით: «საქართველო შარლ მარტენს».

წერილი ამერიკიდან

უკანასკნელ ჩვენს წერილში ის აზრი გამოვსთქვით, რომ ამერიკის პრესა მიუხედავად საწინააღმდეგო ინტერესებისა პატივცემით ეპყრობა იაპონიას და აგდებით რუსეთს და მის მთავრობას; რათა ეს ლიტონ სიტყვებად არ ჩამოგვართვან, მოვიყვანთ მაგალითებს. «ნიუორკი ამერიკენი»—ეს დიდი გავრცელებული და გავლენიანი გაზეთი ათავსებს თავის კვირეულ დამატებაში საყურადღებო წერილებს იაპონიასა და რუსეთზე (უკანასკნელზე მოსკოვიდან).

«არა ერთი დიდი ერი სწუხს იაპონიის მოქმედებით, განსაკუთრებით ინგლისი მისი დიდი ინტერესებით აზიაში, შემინებული იაპონიის «ახალი მონროეს დოქტრინით» აზიის შესახებ», იწყებს «ნიუორკი ამერიკენი»: «რასაკვირველია ამერიკასაც ეხება ეს... და ამიტომ ზოგიერთები სულელურად წინასწარმეტყველობენ ომს ჩვენსა და იაპონიას შორის. ასეთი ომი არასოდეს მოხდება, ეს იქნებოდა უჭკუობა და სიმხეცე. ზოგიერთები წინასწარმეტყველობენ მეორე რუს-იაპონიის ომს უფრო საბუთიანად...» გაზეთი მოუწოდებს თავის მკითხველებს: «ძალიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებმა გაარჩიონ და გაიგონ სიმპატიურად დღევანდელი მდგომარეობა იაპონიის იმპერიისა. უნდა გავიგოთ, რა ძალა აწვება მას სახლში და საზღვარ გარედ, რა ძნელ პირობებში იმყოფება მისი მთავრობა...»

მერე გაზეთი ასწერს იაპონიის ერის მეტად მძიმე მდგომარეობას:

იაპონია არის მეტად მჭიდროდ დასახლებული სახელმწიფო და სდგას ამ ალტერნატივის წინ: ან შიმშილით დახოცვა, ან ექსპანსია. ოცდაათი წლის წინეთ იაპონიის მცხოვრებთა რიცხვი იყო 30 მილ., ახლა კი არის 70 მილიონი, წლიურად მატულობს 750.000. იაპონიაში ერთ ოთხკუთხედ მილზე სცხოვრობს 433 სული. ამასთან იაპონიის მიწა გამოსადეგია აგრიკულტურისთვის ყოველი ხუთი ქცევიდან მხოლოდ ერთი. გაუმჯობესებულია ყოველი მტკაველი მიწისა: გორაკები, მთები, ჭაობები და სხვა.

გაზეთი აღნიშნავს, რომ იაპონიას აწუხებენ ყოველ მხრივ. იაპონიამ დაამარცხა რუსეთი, მაგრამ დასავლეთის ერებმა, არ ასარგებლეს ამ ომის მოგება. იაპონიას ადვილად შეეძლო მოეჭრა დიდი ნოყიერი ადგილი რუსეთისა, ისე როგორც ეს უქნა საფრანგეთმა გერმანიას. შევიწროებულმა იაპონიამ ჩაიგდო ხელში მანჯურია. ყველა ერები, ვინც ხელი მოაწერეს ვერსალის ზავს და ვინც სცარცვავენ ერთმანეთს—გაოცდენ...

ხშირად ამსგავსებენ იაპონიას ორმოში დაჭერილ ნადირს, რომელსაც ჯერ ძალა არ დაკარგვია და რომელსაც შეუძლია დიდად დასაჯოს, ვინც ამ ორმოს მიუახლოვდებაო.

მაგრამ იაპონია არ არის ორმოში; მას აქვს გაშლილი უკეანე თავის სუბმარინებისათვის და ჰაერი მფრინავ მანქანებისთვის; და თუ დასავლეთის ერებს ჭკუა აქვთ, ხელს შეუწყობენ იაპონიას მის მძიმე პრობლემებში; თუ კი გააღიზიანეს, იაპონიას შეუძლია ექვს საათში თავს დაესხას რუსეთის ვლადივასტოკს. და ცხადია არც ატლანტიკი და არც წყნარი ოკეანე შეაჩერებენ მას, ისე როგორც «ინგლისის სრუტე» არ დაიცავს დღეს ინგლისსო.

ზემო მოყვანილიდან ნათელია, თუ როგორ სიმპატიურად ეპყრობა მეტოქე ერს გავლენიანი გაზეთი. ამას შევადაროთ იმავე გაზეთში მოთავსებული წერილი მოსკოვიდან სათაურით: «საზიზღარი რუსეთის ფარული პოლიცია გაუქმებული იქნება? ცდა კომუნისტურ მთავრობისა გახდეს პატივსაცემი ცივილიზაციურ ერთა შორის და გადაიგდოს სამარცხვინო სახელი უწყალო და უკანონო ქვეყნისა».

წერილს დართული აქვს სურათები, რომელნიც დიდი მოხერხებით არის გამოპარული რუსეთიდანო. სხვა სურათებს შორის არის სამი ფოტოგრაფიული სურათი. პირველ საზიზღარ სურათს ქვეშ აწერია: «ფოტოგრაფიული სურათი; ჯალათების ძალდატანებით ორი კაცი თვითონ იხრჩობს თავის თავს, ორივე მხარედან ადიან კიბეებით სახრჩობელაზე, თვითონ იკეთებენ თავის ხელით ყელზე მახრუჭს და ჰხტიან, ერთი მსხვერპლი კიდევ ცოცხალია და ებრძვის თავის მახრუჭს». მეორე სურათი—ორი პოლიტიკურის დახვრეტა გეპეუს რაზმის მიერ. მესამე—თერთმეტი კაცისაგან შემდგარი რაზმი სთხრის სასაფლაოს გეპეუს უფროსობით...

«არის ნიშნები იმისა, ამბობს მოსკოვის კორესპონდენტი, რომ თითქოს რუსეთის მთავრობას აწუხებს მისი რეპუტაცია როგორც უხეშის, დაუნდობელის, ცბიერის, გათიშულის და უმოწყალოსი. საბჭოების ოფიციოზები ახლა ცდილობენ ეს გლახა სახელი გადაიგდონ და მოიგონ თავის მხარეზე განათლებული ქვეყნების აზრიო. იმის მერე, რაც სტალინის მთავრობამ მიიღო ამერიკისაგან ცნობა, ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მოახდინონ ვაშინგტონში კარგი შთაბეჭდილებაო. გაზეთებს, რომლებიც აქამდე მხოლოდ ოფიციალური ბრძანებებით იყო გავსებული, ნება ეძლევათ დაბეჭდონ ცოტა რამ, რაც ადამიანს აინტერესებსო. სასწავლებლებში, სადაც მხოლოდ კომუნისტებს სჩეკავენ, შეუძლიათ ასწავლონ ცოტა რამ ისტორიიდან და სხვა საგნებიდანო. მაგრამ მილიონ მშიერ კომუნისტისთვის არ უთქვამთ, რომ რუსეთის საელჩომ დაიქირავა საუკეთესო სახლი ამერიკის სატახტო ქალაქში. საბჭოების პრესას არც იმის აღწერილობა დაუბეჭდავს, როგორ დიდებულად გაუმასპინძლდა საელჩო თავის სტუმრებს, როგორ გამოწყობილი იყო ძვირფას ტანისამოსში, ძვირფას ქვებით კისერზე, გულზე და ქამარზე ელჩის ტროიანოვსკის მეუღლე.

«საბჭოების მეთაურები ცდილობენ, ქვეყნიერობის წინაშე თავის შავი სახელი გაათეთრონ... თავის ოჯახში ცვლილება შეიტანონ და გამოუთქმელი, წარმოუდგენელი მხეცური ორგანიზაცია—ყოფილი ჩეკა ახლა ეგრედ წოდებული გპუ, დაშალონო... რუსეთში ვერავინ ენდობა ერთმანეთს. ბავშვებსაც ათამაშებენ, რომ დააბეზღონ თავის მშობლები, გასცენ მათი ნათქვამი და ნამოქმედარი... თუ მართალია, რომ ეს ბრბო 50.000 ჯაშუშებისა, მძარცველების და მკვლელებისა გადაყვანილ იქნება ჯარში, სამუდამოდ და დაუვიწყარად დარჩება მათი საზიზღარი ნამოქმედარი ისტორიაში...

მაგრამ ძონძებში გახვეულ ავაზაკს ბევრი შესაძლებლობა არა აქვს, მიღებულ იქნა პატიოსან ერთა ოჯახში მხოლოდ იმიტომ, რომ უცბად გაიწმინდა ფეხსაცმელი და ქუდიო...»

კორესპოდენტი დეტალურად აღწერს გეპეუს და მის დამაარსებელ ფელიქსი ძერჟინსკის მხეცურ მოქმედებას. მოყავს მათი ბარბაროსული მეთოდები «დამნაშავეთა» წამებისა, მათი დაუნდობლობა.

მოყავს ძერჟინსკის დასაფლავების დროს მისი მეგობრის სიტყვა, საიდანაც სჩანს, რომ მტარვალს დაუხოცავს ორმილიონამდე კაცი და ქალი—«მტრები რევოლიუციისა».

ვრცელ წერილში კორესპონდენტს მოყავს ბევრი მაგალითი კომუნისტურ მთავრობის სიმხეცისა, რომელიც ჩვენთვის არა ახალია და რომლის მოყვანა აქ საჭირო არ არის. მხოლოდ ეს წერილი და ბევრი სხვა მსგავსი მაჩვენებელია, თუ როგორ აფასებს ამერიკის პრესა კომუნისტურ რეჟიმს.

ნაური.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.